

საქართველო

IX წ.

საყოველთაო გაზეთი.

IX წ.

№ 16.

კვირა, 15 აპრილი 1901 წელსა.

№ 16.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—სამი შაური.

ხელას-მწერა მიადება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, და „კვალის“ რედაქციაში, საპიორის ქ., № 15.

ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „ЕВАЛИ“.


შინაარსი. მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენტები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარგარეთ.—სერბიის ახალი კონსტიტუცია.—წერილი გერმანიიდან, ლ. ახ.—შვილისა.—ლექსი, ი. ევლოშვილისა.—ისტორიული მეცნიერებიდან.—ქართული ლიტერატურა მეXIX საუკუნეში, ი. გომართელისა.—სამედიკოლო განჩინება, ნ. ჟორდანიასა.

მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.

I. ეკონომისტები და პუბლიცისტები.

1. სენსიმონი და ფურიე.

საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ წარმოშვა სამი ძირითადი მიმდინარეობა: პოლიტიკური, ნაციონალური და სოციალური. პირველი მათგანია საუკეთესო წარმომადგენელი ჩვენ უკვე გავიცანით და მათთან ერთად გავიცანით თვით ეს მიმართულება. ახლა ჩვენ გადავალთ მესამის—სოციალურის—წარმომადგენლებზე და მკითხველთ წარმოვუდგენთ ამათს ცხოვრებას და მოღვაწეობას. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი პირები პირველათ თვით დიდი რევოლიუციის სამშობლოში, საფრანგეთში, უნდა დაბადებულიყვნენ და სამოქმედოთ გამოსულიყვნენ. და მართლაც, გასული საუკუნის პირველ სოციალურ რეფორმატორთ ჩვენ ვხედავთ საფრანგეთში. ამათი სახელია სენსიმონი და ფურიე.



ჰენრი სენსიმონი, შვილი უმაღლესი არისტოკრატისა, დაიბადა 1760 წ. სწავლა მიიღო შინ, ფილოსოფოსი და ლამაზად სიყვარული ფილოსოფიისა. ის თავის მამის, დიუკი სენსიმონის, როგორც უფროსი შვილი, 16 წლის შესრულებისთანავე ჩარიცხეს ჯარში და მისცეს ლეიტენანტის ჩინი. ამ დროს ამერიკაში ატყდა განსათავისუფლებელი ომი ინგლისის წინააღმდეგ და, მზგავსათ მრავალი ფრანგებისა, სენსიმონიც გაემგზავრა ამერიკაში ამერიკელთა დასახმარებლათ. ის აქ იბრძოდა ვაშინგტონის ჯარში და იმავე დროს არდგენდა სხვა-და-სხვა პლანებს საზოგადო ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. ამათ შორის საყურადღებოა მისი წინადადება მექსიკის მმართველის მიმართ ამერიკის არხით გაჭრის და ორივე

ოკეანის შეერთების შესახებ. სენსიმონი დაბრუნდა სამშობლოში და შეუდგა ისევ სამეცნიერო ცოდნის შექმნას. დიდ რევოლუციას ის შეხვდა დიდის აღფრთოვანებით. 1790 წ. თავის საბატონო სოფელში (ს. ფალვი) რევოლუციურ კომიტეტმა ის ამოარჩია თავმჯდომარეთ. სენსიმონმა ეს არჩევანი მიაწერა იმას, რომ ის ადგილობრივი მებატონეა და ამიტომ კრებაში განაცხადა: „იკადეთ, ბატონებო, რომ დღეიდან მებატონე აღარ არსებობს. ამასთანავე მე სამუდამოთ უარვყოფ ჩემს გრაფობას და ვითხოვ, ეს შეტანილ იქმნას პროტოკოლში“. რამდენიმე თვის შემდეგ მაზრის კრებისათვის შეადგინა მთავრობასთან წარსადგენი მოთხოვნები, რომლითაც ითხოვდა გაუქმებას „ჩამომავლობითი განსხვავებისას“. გარდა ამისა მან უარი განაცხადა ქალაქის თავობაზე იმ მოსაზრებით, რომ საჭიროა თავად-აზნაურობა და მღვდლები მოშორებულ იქმნას საზოგადო საქმეებიდან, რომ ძველი პრივილეგიების აღდგენა შესაძლებელი არ შეიქმნასო!..

აი, ასე აღაფრთოვანა ეს ახალგაზდა არისტოკრატი რევოლუციამ, მიუხედავად იმისა, რომ მის დედას ჩამოართვეს ადგილ-მამულები და ნაციონალურ საკუთრებათ შერიცხეს. ამ გარემოებამ სენსიმონი დააღარბა და მოინდომა რამენაირათ ხელ-ახლა გამდიდრება. მან იფიქრა, მოდი ახლა ვიყიდი ჩაღის ფასათ გასაყიდ მიწა-ადგილებს და გავყიდი რევოლუციის დაწყების შემდეგ, როცა უეჭველათ ფასები აიწვეს. და მართლაც ამ ოპერაციით სენსიმონმა დიდძალი ქონება შეიძინა. 1792 წ. „მოქალაქე სიმონი“ დაატყვევეს ერთ პრუსიის აგენტთან მეგობრობის გამო და ჟაკ ბონპომის სახელით ჩამწყვდიეს ციხეში. 1793 წ. ის გაანთავისუფლეს და სამუდამოთ დასახლდა პარიზში. მისი სახლი ღია იყო მაშინდელი მეცნიერების და ფილოსოფოსებისთვის. გარდა ამისა, ის შევიდა სახელოვანი „Ecole Polytechnique“-ის მსმენელათ და ასე ერთიანათ გაიტაცა სწავლამ. ამ დავიდარბაში ის დაღარბდა და იძულებული გახდა 1000 ფრანკიან (წელიწადში) სამსახურში შესულიყო. აი, ამ მისი დაღარბებიდან იწყება მისი ლიტერატურული მოღვაწეობაც. 1803 წ. მან პირველათ გამოაქვეყნა „წერილი ჟენევაში მცხოვრების თავის თანამემამულეთა მიმამართ“. 1807 წ. დაბეჭდა „შესავალი მე-XIX ს. სამეცნიერო თხზულებათა“. ახლა მის სეკრეტრათ გახდა ახალგაზდა, და შემდეგ ცნობილი ისტორიკოსი, ოგიუსტენ ტიერი. სენ სიმონს ამ დროს ერგო ცოტადენი სამკვიდრო და აიყვანა მეორე სეკრეტრათ, **ოგუსტ კონტი**, (შემდეგ სახელოვანი ფილოსოფოსი), რომელსაც თვეში 300 ფრანკს აძლევდა. მაგრამ სენსიმონს ქონებაც ჩქარა შემოაკლდა და სეკრეტრებიც დაითხოვა, თუმცა ისინი მაინც მის თანამშრომლებათ დარჩენ. საერთო ყურადღება მიიპყრო განსაკუთრებულ მისმა თხზულებამ „ვეროპის საზოგადოების რეორგანიზაცია“ (1814 წ.) და შემდეგ „ინდუსტრია“ (სამ ტომათ, 1822 წ.). 1820 წ. გამოაქვეყნა „ორგანიზატორი“, 1823 წ. „მრეწველთა კატეხიზმო“, 1825 წ. „ახალი ქრისტიანობა“ და სხ. სენსიმონი ერთ ალავას ამბობს, რომ იძულებული ვიყავი ხელ ნაწერის გადამწერის გასასტუმრებლათ სარეცხიც დამეგირავებინაო. და მართლაც ის უკიდურეს სიღარიბეში მუშაობდა. მას მფარველათ გამოუჩნდა ერთათ ერთი მისი წინანდელი მოჯამაგირე, **დაბა**, რომელიც შემდეგ გამდიდრებულ-

იყო და მის ლატაკ ნაბატონარს შემთხვევით წააწყდა. ღიარმა მაშინვე თავის სახლში გადაიყვანა სენსიმონი (1806 წ.). საუბედუროთ, ღიარი აღრე მოკვდა (1810 წ.) და სენსიმონი ისევ ქუჩაზე დარჩა გამოსროლილი. ასეთ მდგომარეობაში გადაიკვალა ის 1825 წ.

რას ქადაგობდა სენსიმონი? ვისაც მისი თხზულებები უკითხავს, ის, პირველ ყოვლისა, გაკვირდება ავტორის ენციკლოპედიური ცოდნით და შორსმჭვრეტელობით. ისტორია, ეკონომია, ბუნების მეტყველება და სხ. სენსიმონის თხზულებათა საგანია. ყველა სფერაში ის სრულიად ახალ და შესანიშნავ აზრებს ქადაგებს. ყველა მისი ნაწერის დახასიათება ჩვენ შორს წავგიყვანს, ვიტყვი მხოლოდ, რომ ვისაც ეს ნაწერები გულდასმით არ გადაუკითხავს, მისთვის ბევრი, ძალიან ბევრი კითხვა ბურუსით დარჩება მოკული.

სენსიმონი, პირველ ყოვლისა, ნამდვილი ევოლუციონისტი. ის მთელ მსოფლიოს თანდათან განვითარების თვალთ უყურებს. ის თავის „შესავალში“ ხსნის ქვეყნის და ცხოველების გაჩენას თანდათან და ბუნებრივი მიზეზების ზედ-გავლენით. „იღამიანი—ამბობს იგი—არის უკანასკნელი შედეგი ცხოველთა განვითარებისა. თუ დღეს ადამიანს და ცხოველს შორის დიდი განსხვავებაა— ეს იმიტომ, რომ ადამიანი პირველი დღიდანვე უკეთეს პირობებში ჩავარდა. მისი თანამოძმენი უფრო და უფრო გამრავლდენ, ხოლო მის ახლო მდგომი გონიერი ცხოველები თანდათან გაქრენ. მათ შორის სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო. ახლა რომ ადამიანები ქვეყნიდან გაქრენ, მის ალავას განვითარდება ცხოველების ის გვარი, რომელიც უკეთ არის აგებული არსებობისათვის საბრძოლველათ“. ეს აზრები ასე ჰგონია დარვინისტს ეკუთვნის და არა სენსიმონს!

„მომავალი შედეგა უკანასკნელი რგოლით იმ ჯაჭვისა, რომლის პირველი რგოლიც შეიცავს წარსულს; მაშასადამე, შესწავლა ადამიანის განვითარებისა წარსულში, ჩვენ გვაცნობებს ამ განვითარებას მომავალში“—სწერს სენსიმონი. ეს დღეს ქვაკუთხედათ არის აღიარებული ისტორიულ მეცნიერებაში. მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ, სენსიმონის აზრით, ამ განვითარების ჩარხი „ადამიანის ბუნებააო“ მაშინ, როდესაც დღეს მას საზოგადოების ნივთიერ პირობებში ეძებენ. „საშუალო საუკუნოებში თავად-აზნაურობა იტყოდა: თუ მრეწველობა განვითარდა, ქვეყანა განათლდება, ომები შემცირდება, მეომართა მნიშვნელობა მოიკლებს და შრომის მშვიდობიანი წარმომადგენლები გადაიქცევიან საზოგადოების პირველ წოდებათ. მეორე მხრით სასულიერო წოდება იტყოდა: თუ ჩვენ ვაცალეთ მეცნიერთა გამრავლებას, რომელთა მიზანია ყოველნაირი ცოდნა თვალთ ნანახზე და დაკვირვებაზე დაამყარონ, მაშინ მოვა ის დრო, როცა ღვთის-მეტყველება დაკარგავს თავის ნდობასო. ასეთი მსჯელობით ისინი შეუძლებლად ჰყოფდენ პროგრესს.“ მაგრამ, მიუხედავად მათი აზრისა, მეცნიერები გამრავლდენ და შეიძინეს უფრო ნამდვილი ცოდნა, ვინემ ეს სასულიერთა წოდებას ჰქონდა. „მეორე მხრით მრეწველებმა შრომით შეიძინეს მეტი სიმდიდრე, ვინემ ეს თავად-აზნაურობას მოეპოვებოდა. სიმდიდრესთან ერთად შეიძინეს მეტი გავლენა ხალხზე, ასე, რომ პოლიტიკურმა ძალამ ცხოვრებაში პატრონი გამოიკვალა



და რაღაც საშინლობა იქნებოდა საზოგადო საქმეები ისევ თავად-აზნაურობის და სასულიერო წოდების ხელში დარჩენილიყო... მაშასადამე რევოლიუცია აუცილებელი შეიქმნა... როგორც ხედავთ, სენსიზონი აქ თანამედროვე ენით ლაპარაკობს!

„მე-XVIII ს. ფილოსოფოსთ პირველ ყოვლისა კრიტიკაში უნდა გაეტარებიათ თანამედროვე ცხოვრება, რომ ამით ნათელი გაეხადათ შეუსაბამობა იმ სისტემისა, რომლის შემუშავება მოხდა უფიცობის, ცრუმორწმუნეობის და ბარბაროსობის დროს. რაკი ამ სისტემას ნდობა სრულიად დაუკარგეს, მათი მემკვიდრეთა საქმეა შეიმუშავონ ისეთი სისტემა, რომელიც მოადგება ახალ დროს და შეეფერება განათლებას“. მაშასადამე, საჭიროა საზოგადოების ახალი ორგანიზაცია. რა არის ამ ორგანიზაციის მიზანი? მისი მიზანი უნდა იყოს „ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ განვითარება მეცნიერების, ხელოვნების და ხელობების (Metiers). ამ ცოდნათა გავრცელება, გაუმჯობესობა და გამრავლება... დღევანდელამდის კაცობრიობა გაყოფილი იყო ორ მეტ-ნაკლებ ნაწილათ; უმცირესობა მთელ თავის ღონეს ხმარობდა უმრავლესობის დამორჩილების და მასზე ვაბატონებისათვის. ხოლო ეს უკანასკნელი თავის ძალ-ღონის უდიდეს ნაწილს ამ ბატონობასთან ბრძოლაში ხარჯავდა“. მაგრამ, როცა ეს ბრძოლა მოისპობა, ადამიანთა ძალ-ღონე შეერთდება მხოლოდ ბუნებასთან საბრძოლველათ! ახალი ორგანიზაციის საფუძველი უნდა იყოს ახალი სისტემა, „პოზიტიური ფილოსოფია“. მხოლოდ ფილოსოფოსთ (პოზიტივურთ) შეუძლიანთ ისტორიული შესწავლით და დაკვირვებით ახალი წყობილება შეიმუშავონ. მაშასადამე პოლიტიკა მათ უნდა ჩაბარდეთ საწარმოებლათ. „პოლიტიკური ეკონომია ჰემმარიტი და ერთათ ერთი საფუძველია პოლიტიკის“. ხოლო პოლიტიკა უნდა იყოს „მეცნიერება წარმოების შესახებ (La science de la production), ე. ი. ისეთი მეცნიერება, რომლის მიზანია შექმნა ყოველნაირი წარმოების სასარგებლო წყობილებისა“. ამით ჩვენ მივიღებთ ახალ სისტემის, სისტემა შრომაზე დამყარებული, სისტემა ინდუსტრიალური. მეორე მხრით, „შრომის განაწილებამ ადამიანები ერთი მეორეს მჭიდროთ შეაკავშირა“. თვითოეული პირი დამოკიდებულია არა მეორე პირზე, არამედ მრავალზე (masse). „მაშასადამე მეტაფიზიკის შეხედულობა თავისუფლობაზე, როგორიც დღეს გამეფებულია, ხელს შეუშლის მრავალთა გაფლენას თვითოეულზე. ამ მხრით თუ გავისჯავთ, ის წინაღმდეგი იქნება ცივილიზაციის განვითარებისა და ახალი წყობის ორგანიზაციისა მშრომელთა ბედ-იღბლის გაუმჯობესობისა. ამისათვის, „სახელმწიფომ პირველი ხარჯები უნდა გასწიოს იმაზე, რომ თვითოეულ ჯან-სალ ადამიანს სამუშაო მიეცეს და მით მისი ფიზიკური არსებობა უზრუნველ იქმნას, მეორეთი—მშრომელთა (proletaires) შრომის გავრცელდეს პოზიტიური გზით შეძენილი ცნობები და მესამე იმაზე, რომ ამ კლასს ჰქონდეს საშუალება გართობისა და დროს გატარების“. ამ პლანის სისრულეში მოსაყვანათ სენსიზონი თხოულობს სახემწიფო გზების, არხების და სხვა ასეთი დიდი საქმეების დაწყებას. მაგრამ ამასთანავე ამბობს: „სოციალურ ურთიერთობაში არ შეიძლება მოხდეს ცვლილება ისე, რომ ცვლილება არ მოხდეს საკუთრების ურთიერთობაშიო“....

ასეთია სენსიზონი, ასეთია მისი მოძღვრება მოკლეთ გამოხატული.¹⁾ ამ მოძღვრებამ დაბადა „სენსიზონისტი“ შკოლა“, საიდანაც, სხვათა შორის, გამოვიდნენ ოგიუსტენ ტიერი და ოგიუსტ კონტი.²⁾

ფურცაე. საფრანგეთის მეორე დიდი რეფორმატორი იყო ფურიე.

ფრანსუა ფურიე, შვილი მდიდარი ვაჭრისა, დაიბადა 1772 წ. ქ. ბენანსონში. პირველად შევიდა ადგილობრივ გიმნაზიაში, მაგრამ აქ სწავლა მამამ აღარ დასრულებია და პირდაპირ ვაჭრობაში ჩაბა. როგორც სავაჭრო სახლის წარმომადგენელი, ის დადიოდა სხვა და სხვა პროვინციაში და უცხოეთშიაც. მან საერთო ყურადღება უცებ მიიქცია 1808 წ. როცა მისი პირველი თხზულება გამოვიდა ამ სათაურით: „თეორია ოთხი მოძრაობისა და საზოგადო ბედ-იღბალი“. აქ გამოთქმული აზრები კიდევ უფრო გაარკვია „სოჯახო და სამეურნეო ასოციაციის შესახებ“-ში, რომელიც დაიბეჭდა 1822 წ. 1829 წ. გამოვიდა მისი „ახალი ინდუსტრიალური და საზოგადოებრივი ქვეყანა;“ 1832 წ. დაიწყო ჟურნალი „ფალანსტერის“ გამოცემა თავისი იდეების გასავრცელებლათ, ხოლო შემდეგ „ფალანგის“. გარდაიცვალა 1837 წ. პირველმა ფურიემ გაატარა კაპიტალისტური წყობილება სასტიკ კრიტიკაში. ის თავის „თეორია ოთხი მოძრაობისა“-ში ამბობს: მე-XVIII ს. ფილოსოფოსებმა ძველი სისტემა გამოაცხადეს უვარგისათ და მოითხოვეს ახალი. ატყდა რევოლიუცია, დამყარდა ახალი წყობილება, განვითარდა მრეწველობა, აღორძინდა სიმდიდრე, მაგრამ ამასთანავე გაძლიერდა სიღატაკე, გახშირდა მრეწველობის კრიზისი, მუშა-ხალხის უსაქმობა და ულუკმაპუროთ დარჩენა და სხ. ამკარაა ფილოსოფოსები და პოლიტიკოსები მოტყუვდნენ, მათ მიერ ნაჩვენები წამალი ყალბი გამოდგა; მაშასადამე საჭიროა ახალი წამლის მოძიება, ახალი წყობილების დამყარება. პოლიტიკური და ფილოსოფიური მეცნიერება აქ ვერ გვიშველიან. „აი, ამ დროს მე შევნიშნე, რომ უნდა არსებობდეს **სოციალური მეცნიერება**, რაიცა ჯერ არავინ იცის და რამაც წამახალისა მემუშავა მის აღმოსაჩინათ“. კაცობრიობამ განვლო სამი ხანა: გარეული, პატრიარქალური და ბარბაროსული; ახლა იმყოფება მეოთხე ხანაში, რომელსაც **ცივილიზაცია** ეწოდება. მაგრამ რატომ ეს მეოთხე ხანა უკანასკნელი ხანა უნდა იყოს და არ მოვნახოთ მეხუთე? ხოლო ამის მოძიებაში ჩვენ ვერავითარ ხელმძღვანელობას ვერ გავიწვევს არსებული წესი ძიებისა; უნდა დავტოვოთ ფილოსოფოსები და პოლიტიკოსები და მივმართოთ ფიზიკურ მეცნიერებას. აქ ნიუტონმა აღმოაჩინა საერთო მიმზიდველობა, რაიცა, ჩემის აზრით, მოქმედებს ადამიანთა საზოგადოებაშიც. „მიმზიდველობა (L'attraction) არის კანონი ადამიანთა დამოკიდებულებისა“. აქედან, უარის ყოფა არსებული ბრძოლისა და დამყარება საერთო ჰარ-

1) ციტაციები ამოღებულია მისი „Oeuvres Choiesies“-დან. დაბეჭდილი ბრიუსელში 1859 წ. რასაკვირველია, ჩემ მიერ მოყვანილი აზრები ასე მწყობრათ არა აქვს მას გამოთქმული, არამედ გაფანტულია მის თხზულებებში და დაწერილია სხვა და სხვა დროს. ამ აზრების ერთად მოკრებით აღვადგინეთ საზოგადო სახე სენსიზონის მოძღვრებისა.

2) კონტის წინააღმდეგ ამხედრდა თვით სენსიზონი, ცალმხრივი მიმართულება მისცა ჩემს მოძღვრებასო, რაც ნამდვილი იყო.

მონისა და თანხმობისა. პირველ ყოვლისა, ყველას უნდა მიეცეს უფლება სამუშაოს, (Droit ou travail) ე. ი. ყველა მომუშავეს უნდა ჰქონდეს სამუშაო. რანაირათ შეიძლება ამის განხორციელება? ფურიე ამბობს: საჭიროა დაარსდეს საერთო სადგომები; წოდებული „ფალანსტერები“, სადაც 1800—2000 სულამდის ერთათ იცხოვრებენ და ერთათ იმუშავენ. ფალანსტერთა მცხოვრებთ ყოველთვის აქვთ სამუშაო, მაშასადამე მათი ფიზიკური არსებობა უზრუნველ ყოფილია. ეს კია, რომ აქ სრული თანასწორობა არ არის: შრომის ნაყოფი იყოფა სამათ: ფულის პატრონთ $\frac{1}{12}$, შრომისას $\frac{9}{12}$, ხოლო ნიჭისას (მსწავლულნი და სხ). $\frac{3}{12}$.

ასეთია ფურიეს მოძღვრება და პროექტი. მის მოძღვრებაში შესანიშნავია კრიტიკული ნაწილი, რაიცა კიდევ უფრო განავითარა მისმა შეგირდმა ვიკტორ კონსიდერანმა. მისი პროექტი განახორციელა ერთმა მდიდარმა კაცმა, გოდენმა; ქ. გიზში დაარსა „ფალანსტერი“, რაიცა დღემდის წარმოებს.

შინაური მიმოხილვა.

მკითხველმა უკვე იცის, რომ წელს სექტემბერში თფილისში გაიხსნება კავკასიის სამეურნეო გამოფენა. მართალია, ამას სამეურნეო ქვია, მაგრამ შიგ შედის ყველა დარგი ადგილობრივი წარმოებისა. ასე, რომ აქ უნდა წარმოსდგეს ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიური ცხოვრება და საშუალება მიეცეს გამოფენის მნახველს გაიცნოს და დააფასოს ეს ცხოვრება. ვერაფრით ისე ვერ გავაცნობთ ჩვენ თავს უცხოთ და ვერ გავიცნობთ თვით ჩვენ, როგორათაც ეს გამოფენის საშუალებით ხდება. გამოფენა გამომფენელთა სარკვეა და რაც უფრო ის მართლათ არჩევენებს, მით უფრო მართალ წარმოდგენას ვღებულობთ ცხოვრების ვითარების შესახებ. ამისათვის არის, რომ დაწინაურებულ ქვეყანაში ისე დიდი ყურადღებით და გულმტკივნეულობით ეკიდებიან გამოფენის საქმეს და მეცადინეობენ ის მართლა სინამდვილის ქვეშაირიტი მიჩვენებელი იყოს. რასაკვირველია, გამოფენის მეორე მიზანი—მწარმოებელთა წახალისება—ყურადღების ღირსია, მაგრამ, ვიმეორებ, თავი და თავი საქმე-კი ქვეყნის ნამდვილი მდგომარეობის აღბეჭდვაა. აი, ამ თვალთ უნდა შეხედონ ჩვენი გამოფენის მეთაურებმა ამ საქმეს და იმეცადინონ, არ დარჩეს ჩვენი ქვეყნის არც ერთი კუთხე და არც ერთი დარგი წარმოებისა წარმოუდგენელათ. ეს ადვილათ ხდება იქ, სადაც გამოფენის მნიშვნელობა კარგათ იციან და უკანასკნელი სოფლელიც-კი თავის თავათ დაინტერესებულია, მაგრამ ჩვენში დიდმა უპრაველესობამ არც-კი იცის, რა არის გამოფენა და რის მაქნისია. ამისათვის გამოფენის გამგე კომიტეტმა მაზრებში უნდა იყოლიოს არა მარტო ადგილობრივი წარმომადგენლები, არამედ კომიტეტებაც, რომელთა მოვალეობა იქნება გამოფენის დედა-აზრი ხალხში გაავრცელონ და მკვიდრათ დაეხმარონ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებათ.

*) ფურიეს თხზულება ხელთ არა გვაქვს და ამიტომ იძულებული ვართ ასე მოკლეთ განვმარტოთ მისი მოძღვრება.

„ცნობის ფურცლის“ გასული კვირის ნომერში ერთი ახირებული განცხადება იყო დაბეჭდილი. წიგნის გამომცემი ქართველთა ამხანაგობის გამგეობა იწვევს საგანგებო კრებას 12 ამ თვისათვის „მდგომარე წლის ზოგადი ხარჯის განხილვა და დამტკიცებისათვის“. ჩვენ ვერ ისიც არ გვეგონა, თუ ამხანაგობა კიდევ არსებობდა. ამხანაგობა ფაქტიურათ კაი ხანია გაუქმებულია. მას არავინ არაფერს ეკითხება, მის წესდებას აღარავინ უყურებს, კრება ეს მეოთხე წელია არავის მოუწვევია—ერთი სიტყვით, ამხანაგობა მოკვდა თუ მოკლეს და ახლა უცებ ვტყობილობთ, რომ სასწაულებია მომხდარა, კვდარი წამოუყენებიათ და აცხადებენ, კვდარი არ გვეგონოთ, ცოცხალიაო! მაგრამ ამ ძალათ გაცოცხლებულს სიცოცხლის ნიშან-წყალი მაინც არ ეტყობა. ვერ ერთი, რა არის ეს საგანგებო კრების დანიშვნა. ჩვეულებრივი კრება როდის იყო ნეტავ? საგანგებოს ნიშნავენ ჩვეულებრივ კრებათა შორის, ხოლო ამხანაგობის ასეთი კრება არ მომხდარა 1898 წ. შემდეგ და აი, ახლა პირდაპირ საგანგებოს ნიშნავენ! მეორეთ, „მდგომარე წლის ზოგიერთი ხარჯების განხილვაო“, სხვა წლები რაღა იქნა; უკანასკნელ სამ წელიწადს ამხანაგობის ხარჯები ე. ი. შემოსავალ-გასავალი არ ჰქონებია? როგორც სჩანს ამხანაგობას დაკარგვია წინა წლები, როგორც ერთხელ მოხისელთ პარასკევი დაეკარგათ, და პირდაპირ მდგომარე წელზე გადმოსულან! მაგრამ აქაც ხელმომჭირნეობა გამოუჩენიათ, აღარც ამ წლის მთელ ხარჯებს უდგენენ კრებას განსახილველათ, არამედ „ზოგიერთს“. თუ კი კრება ამხანაგობის უფროსია—რატომ მან ერთი წლის მთელი ხარჯები მაინც არ უნდა განიხილოს, თუ კრება არაფერია და არც რაიმე უფლება აქვს—ამ შემთხვევაში რაღას იწვევენ მას? ორში ერთი, ან ამხანაგობა არსებობს მთელი თავისი კანონიერი ფუნქციით და მაშასადამე მისი გამგეობა თვით ნებობს, ან და ამხანაგობა არ არსებობს და მაშასადამე აღარც მისი კრება საჭიროა და გამგეობაც თავის უფლებაშია, როცა ის არავის არავითარ ანგარიშს არ აძლევს...

გაზ. „კავკასის“ (№ 84) თანამშრომელმა ერთ მეტათ საჭირო-ბოროტო კითხვას მიაქცია ყურადღება—ეს არის მატარებლების ხშირი მტვრევა ჩვენს რკინის გზებზე. ამის მიზეზს ავტორი ეძებს რკინის გზის მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობაში. მაგ., „ბაქოს დებოს მაშინისტები შეუწყვეტილ მუშაობენ დადგენილ 12 საათის მაგიერ 16, 18 და 20 საათს. მართალია, ზედმეტი შრომა ნება-დართულია, მაგრამ იმ პირობით, რომ ზედმეტი ჯილდო მიეცეთ, ხოლო აქ-კი ეს საქმე ასე არ არის... ამნაირათ, მაშინისტები მუშაობენ ორჯელ მეტს და დებულობენ ჯამაგირს ორჯელ ნაკლებსაო“—ამბობს ავტორი. ასეთს მოპყრობას მოსამსახურეთა, რასაკვირველია, გავლენა აქვს თვით რკინის გზის მოძრაობაზე და მაშასადამე ამ საქმეში დაინტერესებულია არა მარტო რკინის გზის უფროსები, არამედ თვით საზოგადოებაც. „საზოგადოებას უფლება აქვს, სწერს გაზეთი, მოითხოვოს, რომ მოსამსახურეები, რომელთა ხელში მგზავრთა სიკვდილსიცოცხლეა, არ იყვენ ასეთ უსამართლო პირობებში, რომ მინისტრის წესები განახორციელონ არა მარტო

მაშინ, როცა მათი დაჯარიმება სურთ, თვარა რას ჰგავს ეს: მაშინისტმა დაიგვიანა ათი წუთით—ჯარიმას ახდევინებენ, მიუხედავად ამისა, რომ მან 6—8 საათი ზედმეტი იმუშავა, უძილოთ, დაუსვენებლივ და ხშირათ უქმელათა ცოლად. „კავკასის“ ასეთი დრტინვა მთელი ჩვენი საზოგადოების დრტინვაა და რაც უფრო ადრე მაქცევენ ყურადღებას ამ გარემოებას, მით უფრო უშიშრათ ვიმოგზაურებთ ჩვენს რკინის გზებზე.

სხვა-და-სხვა ამბები.

დმიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა ამ მოკლე ხანში შეუდგება შორაპანში შავი-ქვის გადასატვირთ ესტოკადაზედ ფარდულის გამართვას. ბარდული დაჯდება 12, 525 მ.

დ. ონიდან დეპეშით გვატყობინებენ: ს. სადმელოში რვა ამ თვეს, ხალხის თანადასწრებით გახსნილ იქმნა საფოსტო განყოფილება.

პრინც ა. ოლდენბურგს, რომელიც ამ ჟამათ კავკასიაში იმყოფება, განზრახვა აქვს აარჩიოს შავის ზღვის პირას შესაფერი ადგილი სანატორიის გასამართავათ.

მიწად-მოქმედების სამინისტროს უკვე დაუშთავრები კავკასიაში სახელმწიფო გლეხების მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ პროექტი. ეს პროექტი წარედგინა სახელმწიფო საბჭოს, რომელიც განიხილავს მას მომავალ მაისში.

ნება-დართულ იქმნა, წლიურის, სეზონის და თვიურის ბილეთების გასყიდვა მოწაფეებზე.

უწმინდესის სინოდის განკარგულებით, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზთ, ყოვლათ სამღვდლო ლეონიდსა და ალექსანდრეს, ამიერიდან აღარ ექნებათ უფლება ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელსა და სემენარიის მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიიღონ. გამგეობა ხსენებულ სასწავლებელთა საქმეებისა ამიერიდან დამოკიდებულ იქმნება მის მაღალ-ყოვლათ უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს განკარგულებაზე.

მიწად მოქმედების სამინისტროს განუზრახავს დაამზადოს დაღესტნის ოლქში 7,000 დესეტინა მიწა რუსეთიდან გადმოსახლებულთა დასახლებლათ.

უმალეს საცენზორო გამგეობამ აცნობა კავკასიის საცენზორო კომიტეტს: ხელნაწერებზე და წიგნებზე, რომლებსაც საცენზორო კომიტეტს წარუდგენენ გამოცემის ნების დასართველათ, სამაბაზიანი მარკა უნდა იქმნას დაკრულით.

როგორც „ნოვ. ობოზ.“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, უკვე შემდგარა კამპანია ინგლისელთაგან კახეთის რკინის გზის გასაყვანათ. განზრახვა აქვთ მუშაობას შეუდგენ ორი თვის შემდეგ.

დღეს, 15 აპრილს, ჩვენი ნიჭიერი არტისტი ქალი გაბუნია-ცაგარლისა გამართავს ქართულ თეატრში წარმოდგენას. ითამაშებენ „ხათაბალას“, კომ. 4 მოქ. მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი ცნობილი არტისტები.

მ ლ რ მ ს კ მ ნ დ მ ნ ს ი მ მ ი.

მართლაც. მკითხველი დაგვკითხნება, რომ მეტათ ძნელად იქ რისამე თქმს, სდაც არ არის გაგებება, საკუთარს „მეს“— აქვს დათმობილი ფართო ადგილი და სამართლიანს შენიშვნას, ან რამე სსიკეთო რჩევას ეგებებიან ან მუქართ, ან არა და შემდეგის ანდაზით: „დალი ჭეჭეს და ქარავანი მიდისო“. და ან რა გინდათ სთქვათ, რადესაც ვერ ხედავთ ვერავითარს სანუგეშოს და რასაც გადავუღებთ თვალს, ვეკლავ მიძინებისა და უკან ჩამოჩენის გზაზე დაქანებულა, და ერთ და იგივე საგან-ზეკი დაზარაკი მოსაწყენინე რომ არ იუყოს წყლის ხეფა გამოდის. თუ იფიქრებს მკითხველი, რომ რაკი დავიწყეთ დაზარაკი, უთუთ რამე ახალს გვეტყვის ეს ახლათ გამოცნვარი ზრფინციელი ახალი კორესპონდენტიო, მოსტყუვდებით, რად გან რაც არა არის-რა ახალი და სანუგეშო, რა უნდა მოგახსენოთ?! ისევე ის ქურდ-ბატონობა, ისევე ის ტაცობა ქალებისა, ისევე ის მიჭრა სოფლის მოხელისა რომელიმე ბეჩავისა და უბადრუკის ოჯახის გასაუზატიურებლათ, ისევე ის ჭორიანობა მანდილოსებისა, ისევე ის ღოტო, ნარდი „ვერტუშა“, კინკლაობა და სხვა მრავალი ამისთანს ხელის-ხელ საგომანებელი საქმეის საგმირანი, რაც არა ერთხელ თქმულა ჩვენი უწინაღ-გაზეთების ფურცლებზე ზემო აღნუსხულს საგნებში სახელ-განთქმული ჩვენი დაზარაკელი დ. ცხინვალი. მართლაც, თურმე ცხინვალის მოწინავე საზოგადოება თუ მოიყრის თავს ერთათ მხალად ბანქასა და ღოტოს სთამაშოთ. აი, მაის წინათ კინა-დამ ერთ-ერთი გამოასაღმა წუთი-სოფელს ორმა ვაჭარმა ბანქას თამაშობაში... სურთო საქმე, წარმატება გონებრივი, ხალხის გამოფინილკება, ზოგიერთებისთვის მიუწადამედს საგანს შეადგენს და ზოგთ-კი სსსცილოთაც არა ჭეჭოფით.

დაბა ცხინვალის მოწინავე საზოგადოების გულ-გრილობის ბრალად, რომ მშვენივრად მართულ-მოკაზმული წიგნთ-საცავ-სამკითხველად თქვენს ჭირი წაიღო და განისვენებს წაიღას შინა აბრამისას?! ეს რათ გინდათ, წარსულს საუკუნეში ერთი ხუთიოდ თუმანი ფული მოგროვია, როგორც ამოვითხეთ „ივერის“ ფურცელზე, ჩვენი ისედაც გადატაკებულისა, დაბეჩავებულის ჯიბიდან, და ისიც ვერ მოუხმარებიათ აღნიშნულის საქმისთვის. ან ნეტავ გადასცემდენ რომელიმე საქველ-მოქმედო საქმეს.

დღემდის თქვენი შტერი იუყოს, როგორც ცხინვალის გზა და კვადი და ბოგირები იყო მინგრეულ-მონგრეული. დღეს-კი, როგორც ეტყობა, ახალს ბოქაულს მიუქცევიან ეურადღებას, შეუკეთებთ ცოტადანად გორიდან მოსავალი გზა, ბოგირი და იმედია, შემდეგში არ მოაკლებს თავის ეურადღებას და გზა მაინც ექნება ამ საბრალდო, ყოველისფრით დაქვეითებულს, დაბას.

ახლა თვადი გადავუღოთ ზოგიერთ მთელი ქართლის სოფლებს. ავიდეთ სოფელი ზემო ნიკოზი. წარსულის წლის ენკენისთვეში, ზატევრემულ ივანე დავითის-ძე სულხანიშვილისა და სხვების შეცადინებოთ და რჩევით, გაიხსნა სამრეგლო სკოლა, რომლისთვისაც ერთი მოხდილი ქვიტიკრის ოთახი დაუთმო ექვსის წლით ადგილობრივმა გლეხმა ალექსა ლომისძემ, უყიდა მკვიდები, ზარტები და სხ., მკვამ იმდენი ბავშვები მიაწადენ სკოლას, რომ მკვიდები არ ეყოთ და უმრავ-

ჯესობა ძირს ზის და ისე სწავლობს ხალხით, მაგრამ წვალებით. მთელ ზამთარში ერთი წვირი შეშა არავის მიუწოდებია და მთლათ ლომსაძეს აწვევს კისრად. ეს უსზარო გლეხი აგერა ოცდა ერთი წელიწადია, რაც ეკვლისაჲს ემსახურება მხათედ. არა ნაკლები მადლაწილობა მიუძღვის აგრეთვე ეკვლისის შეკეთება-გამშენიერებაში. დას, ოცდა ერთი წელიწადია უსწავლელი გლეხი ემსახურება ეკვლისის, ხალხს, საზოგადოებას უსზაროდ და ერთს არავის უთქვამს უბრალო მადლობა-გაი. შეადრეთ ზემო მონსენებულის გლეხის შეწირულობა, რომელიც დაწინაურება რაღაც ორ შურს, უკისრნია მზრუნველობა, მაგრამ ისე არასა ზრუნავს მისთვის, როგორც მე. თქვენი უმორჩილესი მონა მოსამსახურე ამ სიტყვების დაშვარი, ჩინგის ხანისთვის და ჩინგის ხანი ჩემთვის. შეადრეთ ახლა ღირველისა და გლეხი-დაფუთილი შალის ჩონა-შარვალი, წინდა-ქალამანი შეკრესი-კი დობა ატლასი ქურქები, სრა-სასხლეები, ეტლები თუ შწარეთ არ ჩაკეციანთ, მკითხველო, და არა ბანათ: სწორეთ ბუნებრივი ხალხი უფთავხართ ქართლელებიო.

რას აკეთებენ ჩვენი დარბაისელი დვანელ-გრედველები?! ჭიშკა! კანა-და კითხვა უნდა, რას აკეთებენ?! ჩვენებურათ, ძველებურათ, ქართველურათ მძიმე უაღბლო-ლამაზ თაღით სვამენ, სჭამენ, ღათობენ, ძინაფთ და ჭკრიკანობენ. დვანელი ჭკრიკი რომ დაიძვრის თავის კუდანის ქარ-ბუქით, დასკდება ხოლმე ერედუში და სარდაღ ცხინვალს შუა მოიტანს და გარცეხულ-შეძრწუნებულად, უცნაურებით შოშაისავით ბირს დაადებს ხოლმე. ალა-მაჰმადხანის დროის აღძრული ერედველების სკოლის საქმე დაუსრულებელი ისტორიაა, არაკათ გადაიქცა და მეოცე-კი არა, მესამოცე საუკუნეც გაივლის, რომ ერედველებს სკოლა არ უღირსოთ. ურიგო არ იქნება, ერთი კადვე გვაუწიოს ერედველმა სკოლის გულ-შემატვიჯარმა, რითი დაბოლოვდა საქმე, რა მიზეზია, რომ დღემდის იქ სკოლა არ გაიხსნა?! მკითხველმა იქნება მოგვითხროს ის სოფლები რაღა უყავი, სადაც ხშირია ქურდ-ბაცანობა, ქალის მოტაცება და მოხლეკებისაგან დაწიკებაო. ეს სოფლები, ბატონებო, განსაფთ დ. ცხინვალის მეზობლები, ესენი განსაფთ ბატონა სოფლები დვერისა და თამარაშენი.

კრიტიკა - ძე.

შემახია (ბაქის გუბ.). ჩვენს დროში შემახია სამაზრო ქალაქია და კეთების ბაქის გუბერნიას. იგი წინათ სარტახტო ქალაქი იყო შირვანის სახანოსი, რომელიც შეუერთდა რუსეთის იმპერიას გასულ საუკუნის მეოცე წლებში. სიტყვა „შემახია“, ისტორიკოსების აზრით, წარმოდგება ორი სწავლული სიტყვისაგან, რომელნიც ორივე ერთათ აღნიშნავენ „დიდ-ქალაქი“. შირვანის სახანოს, როგორც ჩვენს მრავალ-ტანჯულ საქართველს, გამოუვლია არა ერთი ისტორიული უბედურება. მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ არაბებმა ფეხი შემოდგეს კავკასიაში და დაიწვეს თავისი წინასწარმეტყველის მკვლადის სწავლის გავრცელება ცეცხლითა და მახვილით. ვერც შირვანის მკვიდრნი დაეძაღენ მათ: არაბები შემოესიენ ერთ მშვენიერ დღეს შირვანს, აიღეს ეს ბატონა და სუსტი ზოლიტიკურათ სახანო და შადლები მკვიდრ მცხოვრებლებს მკვლადის საწმუნება. ამ დროიდან დაწვებული შირვანი იმყოფებოდა ხან არაბების და ხან სწავლების ხელში ასე, რომ თავისუფლება ანუ ზოლიტიკური თვით-მყოფელობა მას თითქმის არ ღირსებია. არა ნაკლები ზიანი შირვანს მიაყენა ბუხეამ. მისი სარტახტო ქალაქი „შემახია“ რამდენიმეჯერ დაუნგრევია და მიწასთან გაუსწორებია მიწის-ძვრას, რომელიც აქ უფველ წელს ხდებოდა უწინ, ხოლო ამ უკანასკნელ წლებში ეს მოვლენა აქ არ განმე-

ორებულა. 1899 წ. გასულს და 1900 წ. დამდეს, რომელსაც მიწის-ძვრა კავკასიის უფველ კუთხეებში მოხდა, შემახია გადურხა ამ საშინელ უბედურებას, თუმცა შემახიის მკვიდრნი დიდის შიშით მოვლოდენ მიწის-ძვრას, როდესაც გაიკეს, რომ მთელი ერთი მაზრა—ახალქალაქისა—დანგრეულაო.

შემახია მდებარეობს მდინარე ზერსლატის მარჯვენა ნაპირზე და იყოფა ორ ნაწილათ: ზირველ ნაწილს უყავია ვაკე ადგილი და ჭქვია „Нижняя Татарская часть города“, ხოლო მეორე ნაწილი-კი გაშენებულია მადლობზე (გვერდობზე) და სახელათ ეწოდება „Верхняя или Армянская часть“. ზირველი ნაწილი მეორეზე უფრო ღამაზია და დიდი როგორც სიფრცით, ისე მცხოვრებთა რიცხვითაც. შემახიის მკვიდრს შეადგენენ მუსულმანები, რიცხვით 20 ათასი და სომხები, რიცხვით 10 ათასი სული. მეტი ნაწილი მუსულმანებისა შეძლებულია ნიფთიერათ, თუმცა კაცი მათში ძნელათ გაარჩევს, ვინ მდიდარია და ვინ ღარიბი: აცვიათ ერთნაირი ფერმის და ღირსების ტანისამოსი, ცხოვრობენ ერთნაირათ დაბალ, ბნელ და ნოტიო სახლებში. ზოგიერთ სახლებში კედლები სრულიათ სველია სინოტივესაგან. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გავლენა უნდა იქონიოს ამისთანა სახლებმა ხალხის ჯანმთელობაზე. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მუსულმანებში რევმატიზმი და სხვა ავადმყოფობა, რომელიც აუცილებელი შედეგია სინოტივისა, ძალიან ხშირია შემახიაში. რაღა შეეხება სომხებს—იგინი მუსულმანებზე გაცილებით უფრო კარგათ ცხოვრობენ.

სწავლა-განათლება შემახიაში არ არის სასურველ მდგომარეობაში. გასავერველი და მასთანვე სამწიხრო არ არის, რომ 30 ათას მცხოვრებელს მხოლოდ ერთი სამკლასიანი, შვიდი წლის კურსით, საქალაქო სასწავლებელი ჭქონდეს? მეტი სასწავლებელი შემახიაში, გარდა ორი-სამი თათრის და სომხის დასწავლის სკოლებისა, არ მოიპოვება. ამოდენა რიცხვი მცხოვრებლებისა ძლიან ადვილათ შეინახავდენ, სახინის დახმარებით, ერთ საშუალო სასწავლებელს (უნდა ვიქნითოთ სახეში, რომ შემახია ღარიბი ქალაქი არ არის), მაგრამ სად არის სურვილი და სიყვარული სწავლა-განათლებისა და სასწავლებლებისა?! შემახიელი მუსულმანები აქამდის სწავლა-განათლებას ისე გაუროდენ და ერთადებოდენ, როგორც მონადირეს ნადირი. ამ ხუთი-ექვსი წლის წინეთ ზემოხსენებულ საქალაქო სასწავლებელში არ მოიპოვებოდა სულ ათი-ხუთმეტი მოწაფე მუსულმანთა ერისა, მაგრამ ამ ბოლო წლებში ამ რიცხვმა ძლიან იმატა ასე რომ, მაგალ., 1899—1900 საზომსწავლო წელში მოწაფეთა რიცხვი მუსულმანთა ერისა უდრიდა 120-ს. აქედან ნათლათა ჩანს, რომ მუსულმანებში თანდათან იღვიძებს სურვილი და სიყვარული სწავლა-განათლებისა და შესაძლებელია, რომ ამ მოკლე ხანში შემახიაში კადვე გაიხსნას საშუალო სასწავლებელი, მით უფრო, რომ უკვე გადაცვალბულია ბაქალმა ნავთის მწარმოებელმა ბ. ბუდაღვაშა შეწირა შემახიას რამდენიმე ათასი მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს შემახიის მკვიდრთა სხვა-და-სხვა საჭიროებას.

პავლე ნალირაძე.

რუსეთის ხსოვნობა.

საკვიმო დენარტამენტს გადაუწვევია, შემოდებულ იქმნას დიდ აფთექებში ფარმაცევტო მორიგეობა: ფარმაცევტები ორ რიგათ უნდა გაიფონ და უფველ დღე და ღამეში ერთმა რიგმა მეორე უნდა შესცვალოს.

• ოდესის ხელახსენებს და ოსტატებს განუზრახავთ დასაწყისს საკუთარი კვლები. ამ კვლების უმთავრესი საგანია ხელა შეუწიოს



ხელისხითა ურთიერთობას, გაანდოს მათ ხელისხობის სხვა-და-სხვა გაუმჯობესებელი წესები, გაათავსონ მათ სტატუსი, მათ თანამშრომელთა და შეკრდეთ სტატუსი სწავლა-ცოდნა. კლუბის თვლით და სხვა-და-სხვა შეწირულებით განზრახვა აქვთ დასარსონ წიგნთ-საცავი სპეციალურ წიგნებისა, მოდელებისა და ნახატების შესახებ. განზრახულია აგრეთვე მისწავლათა წაკითხვა და საუბრების, სალიტერატურა და სამუსიკო სადამოების და სხვა კასრთობების გამართვა.

◆ ზეტერბურგში არსებობს შენობების აგების დროს დაშავებული მუშათა დამხმარებელი საზოგადოება. ეს საზოგადოება აძლევს ასეთ მუშებს იმდენ შემწევას, რასაც ისინი იღებენ საავიამოთოებში წოდის დროს განმავლობაში და ამის გარდა დაშავებულის ოჯახს უგზავნის იმდენ თულს, რამდენიც გადასახადების გასატუმრებლათ ეყოფა; უგზავნის ზენისას მშობლებს, ქვრივებს და მცირე წლოვან შვილებს დაღუპულ მუშებისა და აგრეთვე თვით იმ დაშავებულ მუშებს, რომელთაც მუშაობა აღარ შეუძლიან. ამ უკანასკნელ წლებში საზოგადოება აძლევდა წლიურათ 3,000 მანეთზე მეტს შემწევას, ამ ჟამთ-კი საზოგადოება იმდენათ გაძლიერდა ნიუთიერათ, რომ შეუძლია უფელ წლივ 5,000 მანეთამდე შემწევას გასცეს. საზოგადოება ამჟამად საკუთარი სახლი შეწირულ ადგილზე.

◆ ხარკოვის საგუბერნიო უწყებაში გამოქვეყნებულია გუბერნიის უფროსის შემდეგი შინაარსის ბრძანება 28 მარტიდან: ქ. ხარკოვში საზოგადოებრივი მშენებლობის დასაცავლათ... მე საჭიროთ მიმანია დაიხუროს მთელი დღით ადღგობა დღეს უფელა, სასმელებით მოვარჯე, დუქნებო.

◆ ოდესის სტატუსიო საზოგადოების განყოფილების საბჭოს განზრახვა აქვს გამოიკვლიოს ადგილობრივი ქარხნის მუშათა მდგომარეობა იმის გამოსაკვლევათ, თუ რამდენათ მომზადებულნი არიან ეს მუშები სტატუსიო სწავლა-ცოდნის შესათვისებლათ.

◆ ეკატერინოსლავის გუბერნიის ქარხნის საქმეთა შეფერების გამო უსაქმოთ დარჩა 10 ათასი მუშა, რომელნიც გადაწვეტილია უნდა რკინის გზით წაყვანილ იქმან სამშობლოში. ხარკოვის მაშინების მკეთებელ ქარხნების საქმეც ცუდათ არის. იქ შეკვეთილ საქმეთა რიცხვის შემცირების გამო უსაქმოთ დათხოვნილ იქმან რამდენიმე ასი მუშა. დათხოვნილი მუშები უსაქმოთ დანახ, რადგან სამეხანიკო წარმოება შემცირდა უფელგან: ზეტერბურგში, ტულაში, ბრიანსკში, მოსკოვში და სს.

◆ მოუსავლობის გამო ქ. ხერსონში მოაწედა აუარებელი მუშა ხალხი, რომელმაც, რადგან სამუშაოს ვერსად შოულდეს და არც არავითარი სხვა საცხოვრებელი სასარი არ გაჩნია, მათ ხოფრობას მიჰყო ხელი. ზოლიცა ცდილობს სამუშაო უშოვოს ამ ხალხს გემებზე, რისთვისაც თხოულდეს მისთვის უფარო მგზავრობას.

◆ „კიევის საგუბერნიო მთავრობაში“ დაბეჭდილია კიევის გენერალ-გუბერნატორის დრაგომიროვის საუფრადებო ცირკულარი გუბერნატორების მიმართ. ცირკულარში ნათქვამია: „ჩემი კანცელარიის საქმეთა შორის მე შევიბნე, რომ საკლებო გამგეობის თანამდებობის კაცები ნებას აძლევენ თავიანთ თავს უდიერათ მოეზურან გლეხის ზიროვნობას. ასეთი მოზურობის ცხად მაგალითს წარმოგვიდგენს შემდეგი შემთხვევა. ერთ გლეხს თხოვრით მიუმართნია თავისი საქმის თაობაზე ადგილობრივი მომრიგებელ შუამავლისათვის, მისი თხოვნა დაეტოვებიათ შეუწყნარებლათ. ამის გამოსაცხადებლათ „ვოლფსტის“ მამასახლისის ბრძანება გაუგზავნია სოფლის მამასახლისისათვის, მომრიგანი გლეხი. „ვოლფსტის“ გამგეობაში გამოგზავნო,

მაგრამ ის-კი არ შეუტოვებინებია, თუ რისთვისაა ეს საჭირო რადგან ეს ამბავი ზაფხულში უფოილა მუშაობის დროს, ამის გამო მომრიგარ გლეხს უარი უთქვამს გამგეობაში თავისი ნებით წასვლაზე. მაშინ სოფლის მამასახლისის დაუტერია ის და გაუგზავნია დარაჯითურთ გამგეობაში. გლეხს წინააღმდეგობა გაუწევია და ამის გამო მის ზიროვნებაზე ძალ-მომრეობა უხმართ. გლეხს სწივარი შეუტანია სოფლის მთავრობის მოქმედებაზე, მაგრამ ეს სწივარიც მომრიგებელ შუამავალს უფურადებოთ დაუტოვებია იმ მოსაზრებით, თითქო სოფლის მამასახლისის უფელაა ქებნდეს დაქტირა გლეხი და გამგეობაში გაეგზავნა.“ გენ.-გუბ. დრაგომიროვი აღნიშნავს ასეთი მოქმედების უკანონობას და იმედს აცხადებს, რომ გუბერნატორები დონის-ძიებს იხმარენ ასეთი უკანონობის წინააღმდეგ.

◆ ბახმუტის ქვა-ნახშირის წარმოება ეს ერთი ხანია შეფერხებულია. ბახტების მოიჯარადრენი მირობან და სწეობებში ტოვებენ აუარებელ გაუსადებელ ქვა-ნახშირს. ბედის ანაბრათ არის დარჩენილი რამდენიმე ასი მუშა, რომელნიც, იმის მიუხედავათ, რომ 8 ათასი მუშა სხვაგან იქმან გაგზავნილი, მანც ვერ შოულდენ სამუშაოს.

◆ რადგან ამ ჟამთ გაძლიერდა მუშათა მიმოსვლა რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეში სამუშაოს საძებრათ, ამის გამო გზათა მინისტრმა წინადადება მისცა რკინის გზების უფროსებს და მმართველთ, დონის-ძიება იხმარონ რკინის გზებზე მუშათა წასაყვან-წამოსაყვანათ.

ს ა მ ლ ე ა რ - გ ა რ ე თ .

ნვლისი. ლეისტერში მონდა მე-9 წლიური კრება დამოუკიდებელ მუშათა ზარტიისა. კრებაზე დაესწრო ამ ზარტიის მრავალი დელეგატი სამეფოს სხვა-და-სხვა ქალაქებიდან.

გაიხსნა რა კრება, თავმჯდომარემ ბრიუს გლასიერმა თქვა: მე დიდი იმედით ვუფურებ ზარტიის მომავალს. ერთი წლის წინათ შეიძებოდა კაცს შიში ქებნდეს, რადგანაც მაშინ საყოველთაო საზარდაშენტო არჩევების დროს, ინგლისის ერი რადაც ეროვნულმა სიკეთემ აიტაცა, მაგრამ ეხლა არავითარ ეტკეს და შიშს ადგილი აღარა აქვსო. ის ძველი აზრი, ვითომც მუშებს შეეძლოთ თავიანთ წარმომადგენლებათ ზარდაშენტში ლიბერალი, ანუ კონსერვატორი კაპიტალისტი გაგზავნონ, — დიდი ხანია უარყოფილ იქმან. ამ ჟამთ საქალაქო თვით-მმართველობაში და სხვა საზოგადო კორპორაციებში, მონაწილეობას იღებენ 500—600 კაცამდე ტრედ-უნიონებისა და დამოუკიდებელ მუშათა ზარტიის წარმომადგენლები; ეს რიცხვი თანდათან იზრდება, ხოლო რვა წლის წინათ-კი ამისთანა მუშების წარმომადგენელი სულ ათოდე კაცი თუ იყო. უკანასკნელ საყოველთაო არჩევების დროს მუშათა ზარტიამ 10 კანდიდატი წამოაყენა და ერთი ამთგანი კიდევაც აირჩია. ჩვენი ზარტია უფელგან თავისი კანდიდატების არჩევას უნდა ეტადოს, სადაც ჩვენი ზარტიის აზრებია გავრცელებული და სადაც იმედია, რომ ჩვენი კანდიდატი გამარჯვებული დარჩება. ეს აუცილებელია, თუმცა-კი ზარტიისთვის არათური სასიამოვნოა, როცა ლიბერალი მარცხდება და კონსერვატორი იმარჯვებს. შემდეგ ორატორი შეესო სამხრეთ-აფრიკის ომს და თქვა, რომ მუშათა ზარტია ზრტესტს აცხადებდა უფელთვის ამ ომისა და რუსუბლიკების შემოერთების წინააღმდეგ და ესლაც აცხადებსო. ჯერ-ჯერობით ამ ომს ის მოჰყვა, რომ 15 ათასი ახალ-გაზდა დონით სავსე ჯარისკაცი დაიღუპა და 20 ათასი დასახინრებული კაცი ქარხნებში სამუშაოდ დაბრუნდა. ამისთანა შედეგი 200 მილ. თუმხათ დაუჭ-



და ინგლისის; ამოღენს ხარჯმა გამოიწვია გადასახადების მომცემს და ინგლისის ერის ეკონომიური ძალის დასუსტება. ხმა დადის, რომ სყოველთაო სამხედრო ბუჯრის დაწესება სურთ, მაგრამ ინგლისის ერი დაამხობს უფველ სამინისტროს, რომელიც ამისთანა წინადადებას შეიტანს ზარღამენტში (ტაშინ-ცემა).

ამის შესახებ კონგრესმა მოიწონა განცხადება, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ომი დაძლეულია და შინაგან რეფორმებს ხელს უშლის. შემდეგ გადაწვეტიეს ომის უფველ მოწინააღმდეგეები მოიწვიონ ერთნულ კრებაზე და ავტოცია გამართონ, რათა ძალა დატანონ მთავრობას ისეთი ზირობები დაუდონ ბურჯებს, რომ მამაც და თავ-მოძიწენ ბურჯებს უთავილოთ შექცეოთ მათი მიღება; ამას გარდა კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მწუხარებით აღნიშნავს მილიტარიზმის გაძლიერებას ინგლისში. შემდეგ კრებამ სურვილი განაცხადა, რომ დონის-ძიება იყოს მიღებული, რათა შემდეგმაც მუშებისთვის ათუი სდგომები იმართებოდეს სხელმწიფოს, ანუ სსოციალ-ბის ხარჯით. ბავშვების შრომის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ აკრძალულ იქნას ბავშვების შრომა ქუჩებში და შემცირებულ იქნას ეს შრომა შინაურ მრეწველობაში და სავაჭრო საქმეებში, რომ უნდა აკრძალეს მუშაობა იმ ბავშვებისა, რომელნიც სკოლაში უნდა სწავლობდნენ.

ზარტიის წინამძღოლმა კეირ-ჰარდიმ წარმოუდგინა კრებას მოხსენება თავის მოქმედების შესახებ ზარღამენტში. ამ მოხსენებაში კეირ-გარდი ინგლისური ღიბურადური ზარტიის ზოლიტიკურ სისუსტესაც შეეხა: იმისი აზრით, ეს სისუსტე აიხსნება იმით, რომ ღიბურადიზმმა შესარულა ბოლომდე თავისი მოვალეობა მოვაჭრე კლასის წინაშე, მაგრამ შემდეგში განხლებს ვეღარ მოახერხა, ვეღარ გაბედა თამაშთ ეკისრნა მუშათა კლასის ინტერესების დაცვა. კეირ-გარდი იმედი გამოსთქვა, რომ ეხლანდელ სესიის დროს სსოციალ-ბისა ზარტიის მუშების დეპუტატების ცალკე ჯგუფი შესდგება. ორატორის აზრით, რომ ზურ-ჩემბერლენის კავშირი აუცილებლათ მოხდება და ეს კავშირი საჭირო ფისიხლოგური მომენტია ინგლისის ერის ზოლიტიკურ ცხოვრებისა და აზრების შესანიშნავი ცვლილებისათვისა.

ლონდონში (ჰაიდ-პარკში) მოხდა შინაურ მოსამსხურე კაცთა და ქალთა კრება, რომელზედაც დაესწო 5,000 სულზე მეტი თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ერთი დიდიკაცის მებუფეტე. სხვათა შორის, სიტუვა წარმოსთქვა ერთმა მოსამსხურე ქალმაც. სჯა-ბასი კრებაზე უმთავრესათ მოსამსხურეთა სდგომებს შეეხებოდა, რომლებსაც მათ ბატონები აძლევენ. კრებამ დაადგინა: ეთხოვონ მთავრობას, რომ მან დაავადოს სსახიტარო ინსპექტორებს უური უგდონ მოსამსხურეთა ბინებს ისე, როგორც ქარხნის მუშათა ბინებს ზედამხედველობენ, და მოსთხოვონ მოსამსხურეთა დამჭირავებულებს, რომ მათი ოთახები სუფთა და ვერცელი იყოს და სხ. ჩვენში ხომ მზარეულ ქალებს ზირდაზირ სამზარეულში სძინავთ და მოსამსხურე ქალებს-კი კიბეების ქვეშა, — ამბობს რუსეთის ერთი კაცთა, — და ჩვენში რომ ისეთი წესები შემოიღონ, რომლებსაც ინგლისელი მსხურნი თხოულობენ, მაშინ ხომ სსახიტარო ინსპექტორები ევლამდე საქმეებით აივსებიან.

საზრახვათი. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა მილიერანმა შემოიღო 8 საათის სამუშაო დღე ზარტიის სტელეკრაფი და სტელეფონო გამკეობის მუშათათვის.

— 30 მარტს ღანსში გაიხსნა საფრანგეთის მთა-მადნის მუშათა კონგრესი, რომელზედაც დაესწო 230 დელეგატი, წარმოგზავნილი 160 ათასზე მეტ მუშათაგან. კონგრესის უმთავრესი განსახილველი საგნები იყო: შემოღება 8 საათის სა-

მუშაო დღისა, განსზღვრა სულ მცირე სამუშაო ქირის ზენისიისა, დაარსება სმრეველო სსამართლობისა მთა-მადნის საქმეთა განსახილველათ. ზენისიის შესახებ კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლის ძალითაც უფველი მუშა, რომელსაც 25 წელი უმსახურნია მთა-მადნებში, უნდა ჰქონდეს, ხნოვანების განურჩევლათ, ზენისიის ადების უფლება რადიკალით არა ნაკლებ 2 ფრანკის დღეში; მუშას უფლება აქვს აიღოს თავისი ზენისიის სათანადო ხაწილი, როგორც-კი 45 წლის შესრულდება, ხოლო თუ უდროთ დავარდა, მაშინ დაუყოვნებლივ შეუძლია მიიღოს ზენისია. სანენსიო ვასების დასასრულებლათ ფული მადნების ზატონებმა უნდა გამოიღონ. რვა საათის სამუშაო დღისა და ქირის შესახებ კონგრესმა დაადგინა მოთხოვნა ამ ზომების შემოღება ზარღამენტისკან. სყოველთაო გაფიცვის საქმე უნდა გადაწვეტილ იქნას უფველ მთა-მადნის მუშათა კრების-მიერ, რომელიც უნდა დასრულდეს 15 აპრილამდე და უნდა მოხდეს დასურული კენჭის ერთი.

საფრანგეთის მინისტრმა ლეიგმა ამას წინათ „მონოს“ მადნების გაფიცულ მუშათა დეპუტატია მიიღო; დეპუტატიაში თხოვა მინისტრს, რომ შემწეობა აღმოეჩინოს იმ მუშებს, რომლებსაც მადნის ზატონები ადარ იღებენ სამუშაოთ. მინისტრი დაზირდა მათ, თქვენს თხოვნას მადნის ზატონებს გადავცემ და, თუ საჭირო იქნება, სხვა საქმეს ვუშოვი უსაქმო მუშებისა. შემდეგ მინისტრმა თქვა, რა წამს ზრეზიდენტი სმხრეთითან დაბრუნდება, შე მოვითხოვ, უეჭველათ, განხილულ იქნეს სხვა-დასხვა ზრეექტები, რომლებსაც საგნათ აქვთ მუშების მდგომარების გაუმჯობესება.

ბელგია. 22 მარტს, ქ. ლიეჟში მოხდა ბელგიის მუშათა ფერედაციის უფველ-წლიური კრება. კრებამ განიხილა სყოველთაო საარჩევნო უფლებების საქმე, და მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

რაკი ბელგიის მუშათა ზარტიან მტკიცეთ აქვს გადაწვეტილი, რომ ბელგიაში სყოველთაო საარჩევნო უფლება შემოღებულ იქნას ამიტომ კრება ადკენს დაუყოვნებლივ: მხეთ შეუდგეს ზროზგანდას, რათა ეს მიზანი მიღწეულ იქნეს; ეს ზროზგანდა შეუწვეტილი უფველი დონის-ძიებით უნდა წარმოებდეს და, თუ საჭირო იქნება, სყოველთაო გაფიცვა და ქუჩებში მანიფესტაციებიც უნდა მოხდეს. ეს ზროზგანდა მხოლოდ მაშინ უნდა გათავდეს, როდესაც ზოლიტიკური თანასწორობა მტკიცედ იქნება აღიარებული.

ღანია. ღანის ზარღამენტმა ამ ბოლო დროს ბევრი კარგი კანონი მიიღო. სხვათა შორის, მან დაწესა ახალი საქარხნო კანონი, რომლის ძალითაც ქარხნებში აბლებს მხოლოდ 12 წლიდან შეუძლიანთ იმუშაონ და ისიც სულ სუბუქ სამუშაოზე; 13—14 წლის მუშებს დღეში ექვს საათზე მეტს ვერავინ ამუშავებს. 18 წლის მუშებს 10 საათზე ზევით ვეღარ ამუშავებენ. ამას გარდა მუშებს, რომლებიც 18 წლისაზე ნაკლები ხნის არიან, აკრძალული აქვთ უფველი მუშაობა ღანით.

მუშა ქალებს მშობიარობის შემდეგ ნება არა აქვთ ორ კვირასზე ადრე დაწეონ მუშაობა და ის შემწეობა, რომელსაც სახელმწიფო აძლევს მშობიარეს, არ ითვლება „შემწეობად დროებისათვის“, რადგანაც ასეთი შემწეობა ზოგაერთ საშაქაქო უფლებას ართმევს იმ ზირთ, რომელთაც ის ეძლევათ. შემდეგ შემოღებულია ახალი წესები და ინსტრუქციები ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის; ამ წესების ძალით უფველ ქარხნაში, ანუ ფაბრიკაში თითო მუშა კაცზე 27 კუბიური არშინი ჰქაერი უნდა მოდიოდეს. საქარხნო ინსპექცია გაძლიერებულია; ამას გარდა დაწესებულია მუშების საბჭო, რომლის წევრებათ შეერთებული



მუშების კავშირი სამს კაცს იჩვენებს. ზემოხსენებულს გარდა უნდა აღვნიშნოთ საიდუმლო კენჭის ურის შემოღება და შეცვლა ღარიბთა კანონის: ახალი, შეცვლილი კანონის თანახმად სახელმწიფო შემწეობა, რომელიც ღარიბ მუშებს ეძლევა, არ უნდა ითვლებოდეს „ღარიბებისთვის მიცემულ შემწეობად“.

ახსტრო-პენსია. თათრა-თავარობში ქვა-ნახშირის მადნების მუშებმა გათიფცა მთავრების, რის გამოც მადნებში წესიერების და მშვიდობიანობის აღსადგენათ უხდარები და ჯარი გაიგზავნა. მხნდა შეტაკება, რომლის დროსაც ოთხი მუშა კაცი მოკლეს. დაწვრილებით ცნობების კავება შეუძლებელია, რადგანაც ქვა-ნახშირის მადნების მმართველობა არავის უშვებს მადნებში.

ისპანია. აქ ისევ დემონსტრაციებს ახდენენ იესუიტების წინააღმდეგ. იანში ხალხი ქვეს ესრფდა იესუიტების კოლეჯიან და ეპისკოპოსის სასახლეს. მანიფესტანტები თხოულობენ, რომ აკრძალულ იქმნას რელიგიოზური პროცესიები და იესუიტები ისპანიიდან განდევნილ იქმნენ. სხვა ადგილებშიაც მოხდა მანიფესტანტები კლერკალების წინააღმდეგ. ნამეტნავათ ბილბაოში დიდი მანიფესტანტა მოხდა. ათი ათას კაცამდე გუბერნატორთან წავიდნენ და ჩაბარეს თხოვნა, რომელშიაც ისინი თხოულობენ, რომ ეკკლესია სახელმწიფოსგან განშორებულ იქმნას და სასწრწმუნოებრივი საზოგადოების და უმთავრესათ იესუიტები განდევნილ იქმნენ. მადრიდში დიდ კრებას ამზადებენ კლერკალების წინააღმდეგ.

პორტუგალია. ანტი-კლერკალური მოძრაობა პროტუგალიაში უფრო და უფრო ძლიერდება. ავეირში ცეცხლი წაუკიდეს მონასტერს, მაგრამ ცეცხლი დაწვებისთანავე ჩაქრეს. დაშაშავები არ აღმოუჩინათ.

ჩინეთი. ჩინეთის საქმეები დღეს წინანდელზე არა ნაკლებ აწეწილია. ერთი მხრით სახელმწიფოები ჩინეთისაგან საზღაურს თხოულობენ, მეორე მხრით კი ჩინელები აქა იქ ჯარებს ამგრებენ და სახელმწიფოებს უმკლავდებიან საბრძოლველათ. უკანასკნელი დებუმა იუწეება, რომ ის საზღაური უდრის 450 მილიონ ტაელს. ერთ ხანს ხმა გავრცელდა, რომ რუსეთი მზათ არის ხანჯარი შეამციროს თავისი ხვედრი საზღაურის რაოდენობა, თუ ჩინეთი შიადებს ხელშეკრულებას მანჯურიის შესახებ, მაგრამ ეს ხმა სიცრუედ მიაჩნიათ. სიცრუედ მიაჩნიათ ის ხმაც, თითქო რუსეთს წინადადება შეეცეს ანხინისთვის, ერთათ ვი-მოქმედოთ ჩინეთის საქმეთა დასაბოლოებლათ. ჩინეთის საქმეებში კიდევ ის არის საუურადღებო, რომ სახელმწიფოთა ელჩებმა სასურველათ იცვინეს კიდევ 4 მანდარინის დასჯა სიკვდილით და 80-ის განდევნა და ხარისხის ჩამორთმევა.

ინგლის-ბრანსვაალის ომი. როგორც მოველოდით, ამ შესაძვერაც არ მართლდება ის ამბავი, თითქოს ბოტას გადაწეწიტოს იარაღის დაურა და ზავის ჩამოგდებაზე მოლაპარაკების გამართვა. ღაპარაკი არ უნდა, რომ ამ ტუეილ ამბებს თვით ინგლისელები ავრცელებენ განზრახ. ამის გამო არ ვიცით. დასაჯრებელია თუ არა ის ამბავი, თითქო ბოტას ცოლს ეკისრნოს ზავის ჩამოგდების საქმე. დევეტის შესახებ ხმის ავრცელებენ, თითქო ის ჭეუახე შემლილიუოს, და თითქო ამის ბოტაც აღიარებდეს. ასეა თუ ისე, უკველი ოფტტი მხოლოდ ის არის, რომ ბურებს ჯერ ოფიქრთაც არ მოსდით იარაღის დაურა და დებუშს ამბები მოაქვს ხოლმე ინგლისელებთან ბურების შეტაკების შესახებ. ოფიციალურ ცნობებით, ამ ტუეე ბურთა რიცხვი, რომელნიც ჯერ ორანჟეს ახალმუნში და ტრანსვაალში არიან, უდრის 18,934-ს. ამის გარდა, კიტჩინერი ამ დღებში იუწეე-ბოდა პროტორიიდან „ბოლონდელ მოხსენების შემდეგ ჩვენმა

ჯარმა ტუეეე წაიუგანა 242 კაცი და დავლათ დაინარჩუნა 248 თოფი, რამდენიმე ფურცანი, სამხედრო სურსათი და რამდენიმე ურემიო. ბეური თავისი ნებით დაგვიმორჩილდა“. ინგლისის საზინის კანცლერის ახგარიშით ბურებთან ომი სახელმწიფოს 153 მილიონი დაუჯდა. ბოდრიკმა განაცხადა საზოგადოებათა ხალატში: ამ ბოლო დროს ათ კვარაში სამხრეთ-აფრიკის ომს საშუალო რიცხვით კვარაში ერთ-ნახევარი მილიონი თუმანი უნდება.

სერბიის ახალი კონსტიტუცია.

როგორც უწიოთ, სერბიის მეფემ ალექსანდრე I, ხალხის წარმომადგენლებთან ერთათ, შეიმუშავა სახელმწიფოს ახალი წესბილება და კიდევაც გამოქვეყნა. აი ეს წესბილება:

I. ძირითადი უფლებები.

1) სერბიის სამეფო არის შემკვიდრებითა და კონსტიტუციონური მონარქია, რომელსაც აქვს ნაციონალური წარმომადგენლობა. 2) სასწმუნება სერბიაში არის მართლმადიდებელი. ეკკლესია არის დამოუკიდებელი და თვით-მმართველი. 3) შეუძლებელია სახელმწიფოს ტერიტორიის ვასმესთავის დათმობა, გინდ გამხანცილება.

II. მაჟორისშვილთა უფლებანი.

1) უველა სერბიელები თანასწორნი არიან კანონის წინაშე. თავდა-ზნაურული უზირატესობა არ არსებობს. 2) შირადი თავისუფლება უზრუნველ უფილია. არ შეიძლება არც შევიწროება მისი, არც მოსპობა, თუ არ სასამართლოს დადგინებლით. ვერავინ ვერავის ვერ ჩამოართმევს ჩვენებს; ვერც კასსამართლებს, გარდა ჯეროვანი სასამართლის. სასჯელის დადგენა შეუძლია მხოლოთ კანონს. განსაკუთრებული სასჯაროები აღკრძალულია. 3) სიკვდილით დასჯა ბოლიტიკურ საქციელთათვის ისპობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სასიკვდილოთ გამოიმეტებენ ხელმწიფეს, ან-და სამეფო გვარეულობის წევრთ. სერბიის არც ერთი მამულიშვილი არ განიძეება საშობლოდან; 4) კერძო სადგომი ხელ-შეუხებელია; ავრეთვე საკუთრებაც. ქანების კონფისკაცია¹⁾ აღკრძალულია. 5) სინიდაისის თავისუფლება შეუზღუდელია. ცნობილი სასწმუნებანი თავისუფელი არიან და სატკებლობენ კანონის მთავრელობით. პროსელიციზმი აღკრძალულია. 6) სასკოლო საქმე თავისუფალია. შირველ-დაწეუბითი განათლება სავალდებულო და უფასოა. 7) ეოველ სერბიელს უფლება აქვს თავისი აზრი თავისუფლათ გამოთქვას. შწერლობა თავისუფალია. ცენზურა აღკრძალულია. წერილების საიდუმლოება ხელ-შეუხებელია. 8) სერბიელთ უფლება აქვთ შეადგინონ საზოგადოებები და კავშირები. მხოლოთ ცის ქვეშ დიდი ფრილობების მოსახლენათ საჭიროა სათანადო მთავრობის ნება-რთვა. 9) ეოველ სერბიელს უფლება აქვს უზივლოს, ან-და მოითხოვოს გამოძიება მთავრობის უკანონო მოქმედებათა წინააღმდეგ. უცნოეთის ბოლიტიკურ დაშაშავთა ცაცმა აღკრძალულია.

III. მეფე.

1) სახელმწიფოს მეთაური არის მეფე. მისი შიროვინება— შეუხებელია ის არის განმხორციელებელი უმაღლესი მთავრობისა კონსტიტუციის თანახმათ. მეფის და სამეფო გვარეულობის წევრთა სასწმუნება—მართლმადიდებელია. 2) მეფე ამტკიცებს და აცხადებს კანონებს, ის ნიშნავს სახელმწიფო სასამართლისთვის მხნელებს. ის არის ჯარის მთავარსარდალი. ის უბოძებს ორ-

¹⁾ კონფისკაცია—მთავრობის მიერ ჩამორთმევა.

დებებს და ჩინებს. იმის უფლებაა სსრკელთა ზატეობა და ფულის მოჭრა. ის მოიწვევს და დაშლის ზარდამენტს; ის არის საშეფოს წარმომადგენელი ყველა სავაჭრო საქმეებში. ის აცხადებს ამს და შეკრავს ზარბებს. ხელს უფლებს იმ შემთხვევაში, როცა ამ ზარბების ძლით ქვეყანას რაიმე ვადლებულება აწვება თავზე, ან-და რაიმე ცვლილებები ხდება ტერიტორიაში, ის ზარბები უნდა წარედგინოს ზარდამენტს განსახილველათ.

3) სერბიის მეფე არის ალექსანდრე I. ტახტის მემკვიდრეები არიან მეფის ზარდამირი შთამომავალი ვაჟები კანონიერი მუდლებებისაგან. თუ ვაჟები არ არიან, მაშინ მემკვიდრეობა გადადის ზარდამირ მემკვიდრე ქალებზე. არა ზარდამირ შთამომავალთ არა აქვთ ტახტის მემკვიდრეობის უფლება.

IV. სახალხო წარმომადგენლობა (პარლამენტები).

1) სსრკელთა წარმომადგენლობა იხატება ორ ზღვარში: სკუპჩინა და სენატი. 2) სკუპჩინას შეადგენს 136 დეპუტატი, რომელნიც ირჩევიან ოთხი წლით. საარჩევნო ცენტრია—15 ოფანკი (ზარდამირი გადასახადი) ყოველი ამომრჩეველისათვის, ხელს 30 ოფანკი—ყოველი ამომრჩეველისათვის. არჩევნები ხდება ფარულათ საარჩევნო ფურცლების შემწეობით. ყოველმა დეპუტატმა (დეპუტატმენტს 16) უნდა ამოიჩინოს შესაფერი დეპუტატი, ესე იგი ისეთი, რომელსაც აქვს უნიკონსიტეტის დიპლომა²⁾. 3) სენატს შეადგენს 51 წევრი. სენატში მონაწილეობას ღებულობს ტახტის მემკვიდრე ხმის უფლებით, თვრამეტი წლიდან დაწყებული. სენატშივე მონაწილეობენ ბელგრადის არხიეპისკოპოსი, სერბიის შიტრანოელი და შესამეადგილს ნიშის ეპისკოპოსი. 30 წევრს ნიშნავს მეფე, 18-ს კი ირჩევს ხალხი ფარული კენჭის ყრით სამი წლის ვადით. ამ წევრთა ნახევარი ყოველ სამი წლის ბოლოს იცვლება. სენატორთა უფლებებისათვის სჭირთა ცენტრია—46 ოფანკი, ხელს მათი ამომრჩეველობისათვის სჭირთა ცენტრია 500 ოფანკამდე. 4) სსრკე მეფე დაამტკიცებდეს, ყოველი კანონი უნდა მიიღოს ორივე ზღვარში. თუ ზღვარები ვერ შეთანხმდები, მაშინ კანონ-პროექტი მიმდინარე წელს აღარ ირჩევა. სკუპჩინას საბოლოო ამტკიცებს ბიუჯეტს სენატის მიერ წარმოდგენილ შენიშვნების შემდეგ.

V. მინისტრები.

მინისტრები ზასუხის მგებელნი არიან ზარდამენტის წინაშე. შესაძლავს მათი სამართალში მიცემა.

წერილი გერმანიიდან.
(იფი სადგამები)

ქალაქში განვითარებულმა მრეწველობამ სოფლიდან თავისაკენ მირეკა ხალხი. 1882 წ. გერმანიაში მრეწველობის რიცხვმა დიდ ქალაქებში 117.05% იმატა, სოფლად—1,48%. მუშათა რიცხვმა დიდ ქალაქებში 54,25% იმატა, პატარა ქალაქებში—6,42%, სამაზრო ქალაქებში—5,10%, სოფლათ-კი 12,96% მოაკლდა. დიან, სოფლიდან ხალხი ქალაქისკენ ემგზავრება, აქ სახლდება სამუდამოთ. ახლა ქალაქში საცხოვრებლათ მოსულ ხალხს, უწინარეს ყოვლისა, ბინა სჭირია, საცა თავი უნდა შეაფაროს თავისი ოჯახით. მას სადგომების საქმე საჭირობოროტო კითხვათ გარდაჰქცევიან. ქალაქის შეძლებული მცხოვრებნი სადგომთა შენებას შეუდგენ; რასაკვირველია, ამათს ასეთს მოქმედებას სპეკულიაციური ხასიათი აქვს. ესენი სახლებს აშენებენ გასაქირავებლათ. ქალაქის ბან-

კირ-კაპიტალისტებს ალლო დიდი ხანია აღებულნი აქვთ, იციან, რომ ქალაქს ხალხი აწყდება, მოსულ ხალხს, შუშა იგი თუ მოხელე, ბინა სჭირია, ამიტომ ესენი თადარიგს უდგებიან, ყიდულობენ ქალაქის გარეთ თუ შიგნით სამოსახლო მიწებს იაფათ და აშენებენ ხუთსა და ექვსსართულიან შენობებს. ეგრედ წოდებული ბინათა ამშენებელი აქციონერული საზოგადოება გერმანიაში კარგა ხნის საქმეა, ისინი წარსული საუკუნის მესამოცე წლებიდან მოღვაწეობენ. მაგრამ ბინათა ამშენებელ საზოგადოების წევრნი რალა ბანკირ-ფაბრიკანტები იქნებიან, თუ აქაც თავიანთ პირადულ სარგებლობას წინ არ წამოაყენებენ და შეგნებულათ არ გაჰყვლიყვენ უიმისოდაც გაყვლიყვილ მუშათა კლასს. საერთოდ სადგომთა პატრონები, რაც უფრო მეტი დრო გადის და რაც უფრო იზრდება ბინათა მოთხოვნილება, იმდენათ უფრო მეტ ფასათ აქირაგებენ სადგომებს. გერმანიის ქალაქის მუშას ასეთს პირობებში საკმარისი ოთახების დაქირავება აღარ შეუძლიან, რადგან, როგორც ახალი სტატისტიკური გამოკვლევიდან სჩანს, საშუალოთ, გერმანიის ქალაქის მუშას წლიურათ ერგება სამუშაო ქირა 900 მარკა (მარკა ათ შაურზე ცოტა ნაკლებია). ამ აღნიშნულ ჯამით მან უნდა გაისტუმროს ქალაქის ათასნაირი ხარჯი, რომელიც დღით-დღე ემატება. თავი და თავი, როგორც ვიცით, გერმანიაში სანოვანე ერთობ ძვირია, ნამეტნავათ დიდ ქალაქებში. სიძვირე მუშას ვერ აბრკოლებს, ეს ისევე მიძღრისად სჭამს, როგორც შეძლებული და უფრო მეტსაც, ვინაიდან, როგორც ფიზიკურათ მომუშავეს, მეტი საქმელი სჭირია. ამასთან, გერმანიის მუშა მათრობელ სასმელსა და თამბაქოსაც ეტანება, მას პირველიც და მეორეც კარგათ ესიაზონება. ტანსაცმელის საქმეც საკმარისათ უქირავებს ცხოვრებას გერმანიის მუშას. ევროპის ბურჟუა-კაპიტალისტები ჩაცმა-დახურვას ყველაზე წინ აყენებენ და პირველ ალაგს აძლევენ. დემოკრატიის განვითარება-წინმსვლელობას კვალ და კვალ მისდევს ბურჟუასა და მუშათა შუა გარეგნული განსხვავების გაქრობა. პროლეტარიატი ცდილობს, რომ კვირა-უქმე დღეს მაინც არ ეტყობოდღეს თვისი სიღატაკე, ამისათვის ეს იმოსება საკადრისათ, ასე, რომ უქმე დღეს ერთობ ძნელი გამოსარჩევი პროლეტარიატი ბურჟუადამ. ამას ზედ დაუმატეთ ქალაქის ათასი რამ სანახავ-გასართობები, რომელთა ნახვაც მუშას ფიზიკურათ ესაჭიროება. ამ ზემოთ ჩამოთვლილს მოთხოვნილებებს ანაცვალებს ხოლმე ქალაქის მუშა სამეოთხედ და უფრო მეტს თავის წლიურ შემოსავლისას. შესაფერი სადგომის მოპოვება მას ისე არ აწუხებს, როგორც ზევით ჩამოთვლილნი მოთხოვნილებანი. ეს ახლა იმასა სცდილობს, როგორმე გამოჩანოს იაფ-ფასიანი ბინა და შიგ თავი შეაფაროს, ხოლო იმას-კი აღარ დაგიდევს, რამდენათ სახეიროთ არის მოწყობილი მის მიერ დაქირავებული ოთახები. გაქირავებულ მუშას უფრო ეხერხება რიცხვით ნაკლები ოთახები დაიქიროს. ბევრჯელ ნახავს კაცი, რომ ოჯახი, რომელიც ხუთი სულისაგან შესდგება, ორს პატარა ოთახშია მომწყვდეული და ამ ოთახის ფასი-კი 315—350 მარკას არ აღემატება წლიურათ. რასაკვირველია, ასეთი ოთახები ჰიგიენურის მხრითაც მეტად ცუდათ არის მოწყობილი. ხშირად ორ და სამ ოთახიან სადგომს მხოლოდ ერთი ოთახი აქვს, სადაც ცეცხლი დაინთება, დანარჩენები-კი უბუხრო არის. წვრილ-

²⁾ ასეთი ვიწრო განსაზღვრა ევროპის არც ერთ მოწინავე კონსტიტუციაში არ არსებობს.



შვილი სახლობის პატრონი მუშა თუ პატარა მოხელე უფრო მეტ შვეიწროებაშია: დაბალი, უსარკმლო სარდაფები—აი, წვრილ-შვილიანი მუშის საცხოვრებელი ბინა.

თუ ბინათა სიძვირე საქმეს უჭირვებს წვრილ-შვილის პატრონი მუშას, მეტი სიკეთე აღარც მარტო-ხელ ფაბრიკის მუშა ქალს და ვაჟს აყრია. გერმანიის ქალაქებში ხშირათ შეჰხვდებოდა კაცი კედელზე მიკრულ კარდონის ქალაქებს შემდეგი წარწერით: „Schlafstelle“. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ოთახის დამქირავებელს მარტო ძილის ნება აქვს და სხვა არაფერი. დამქირავებლისთვის მოწყობილია მარტო ერთი ხელი ლოგინი და პირის დასაბანი. შვეა სალამოს რვა საათზე მოსასვენებლათ და დილის შვიდ საათზე მიეშურება სამუშაოთ. საქმის დღეს მთლად ფაბრიკაში ატარებს, ხოლო კვირა-უქმეს—ლუდ-ხანებში, ბინა მარტო დასაძინებლათ უჭირავს. რასაკვირველია, ასეთი ოთახები ცოტა უფრო იაფია. სადგომის ავ-კარგი ახალი საქმე არ არის გერმანიაში, მეცხრამეტე საუკუნის 40—50 წლებიდან სადგომების საქმე საჭირო-ზოროტო კითხვათ ხდება, რადგანაც ამ წლებიდან სწრაფათ იზრდება გერმანიის ფაბრიკა-ქარხნები, აუარებელი ხალხი აწყდება ქალაქებს და უზომოთ მატულობს სადგომთა მოთხოვნილება. დროთა მსვლელობამ ეს კითხვა უფრო გაამწვავა და მეტი გაჭირვება მიაყენა მუშათა კლასს. დროთა მსვლელობას ბინების გაძვირება ფეხ და ფეხ მისდევს, როგორც ერთი მიდის წინ, ისე შვორე. ახლა, თუ როდისმე გაძვირებულა ბინები გერმანიაში, ეს ისევე ამ ჟამათ. ბინების გაძვირების მიზეზი შემდეგია: აწმწყო სახელმწიფოს არა ჩვეულებრივ გასაფალომა აიძულა გერმანიის მთავრობა, პირდაპირი თუ არა პირდაპირი, სახელმწიფო გარდასახადი გაედიდებინა, მაგრამ ამან ნახევა-რათაც ვერ დაჰფარა გასაფალი. ახლა გერმანიის მთავრობამ ახალ წყაროს მიჰმართა: ქალაქის მამულებს გარდასახადი მოუმატა, რადგანაც ქალაქის მამულები, რომელ-ზედაც ბინებია აშენებული, მეტს შემოსავალს იძლევა, ვიდრე წინათ იძლეოდა. მთავრობამ თუ მამულებს გადასახადი მოუმატა, სახლის პატრონებმა—კიდევ თავის მხრივ ბინის ფასი ასწიეს და დანაკლისი ფული ასე შეივსეს.

ამისათვის სოციალ-დემოკრატი მთელი თავისი ძალა ამ საგნისკენ მიჰმართეს. ქალაქის ამ წლის არჩევნებზე ერთობ ბევრი გაისარჯნენ, უნდოდათ თავიანთ პარტიიდან მეტი ხმონები გაეყვანათ და მით სადგომთა გაძვირების რეფორმა ჩაეშალნათ. მთელი ლეიპციჰი ორ პარტიათ გაიყო—სოციალ-დემოკრატია და ბურჟუაზია. ორსავე მხრით დიდი შეტაკება იყო. პირველი გაიძახოდენ: „თავს ვუშველოთ, თორემ ჩვენი გამყვლეფლები ისედაც გაძვირებულ სადგომებს უფრო გვიძვირებენ და ამით უნდათ სულ მიწასთან გაგვასწორონ. მარჯვეთ მოვიქცეთ, თორემ საქმე გასაჭირია“. ერთი სიტყვით, გულ-წრფელოთ აღიარებდენ თავიანთ მომავალ გაჭირვებას. მაგრამ აღარც ბურჟუას ეძინა, ესენი აფიშას-აფიშაზე აკრავდენ და რეკლამას-რეკლამაზე ატარებდენ. ხმა მალლა გაიძახოდენ: „სამშობლოს შვილო, თავს ვუშველოთ, თორემ სოციალ-დემოკრატები თავიანთ კომუნალურ პროგრამის განხორციელებას ჰლაომობენო“. ბრძოლა გამწვავებული იყო. მაგრამ ნივთიერად შეუძლებლობამ აქაც ულალატა სოციალ-დემოკრატთ. ხმის უფლებსა სახელმწიფო გადასახადის კვალობაზე ეძლევათ ქალიქის მცხოვრებელთ, რა-

საკვირველია, ბურჟუას მეტად გადასახადი აქვს, მაშასადამე, მეტი ხმაც ჰქონდა ქალაქის არჩევნებზე და მეტი ხმონებიც ამოიჩინეს. არჩევნების გამარჯვებას მოჰყვა სადგომთა გაძვირება და სოციალ-დემოკრატი დამარცხება. ასე, დღეს-დღეობით ბურჟუამ გაიმარჯვა.

ქ. ლეიპციჰი. * * *

მუ! შეკრთა ქუნა... ეს არ იყო ხმა მუხაისა მდიდარს დაბაზში სარკველიდამ გამტკეპილი, არა... უღარუნებს რკინის ჯაჭვი, მადის ბორკილი, მადის უღარუნებს ხელ-ფეხებზე გამტკეპილი! უველამ კისერში მიიღერა უბედურისკენ, ეი, გზა-მეთქი, გაიძახის წინა მხედარი, და რომ ცოცხალი მალე საფლავს დაუხლდოფონ, გზის ნაპირისკენ მოარიდეს ვიდაც ცხედარი! მიდის ბორკილი, დინჯათ მიზღვეს გაბმული მსხვერპლი, ჩაფიქრებულა, თითქოს თავის თავს ესუბრება... ეი, ძმობილა, ჰკითხე ქუნას მოძმეთა ბინას: „იქ მოსასვლელათ კადვე ბეჭი მოემსადება?“ გზას გადაიფილა გადასახვ კაფანტულ ძვლებსა ხელში ნიჩხით, ზურგზე გუდით იქ დგას აჩრდილი, „აქ გვიძახეს ათასს, იტყვიან იგი, ჩვენ გავარდვიეთ ეს უდაბური, მიუჯალი და მთა ადგილი. აქ გვიძახეს ათასს, სიცივეში გაუიყინეთ, ზოგი სიშშილა, ზოგი ზვავმა ქვეშ მოკვიტანა მთვარის დამეს იქნებ ხედავ საღის კლდის პირას, იქ ჩვენი ძვლები საუბრობენ ნიაგ-ქართანა. იქნება იცნო მეურმისა მკლავიანე ხმა, წვრქვის ცემა, თან-ნიჩხის ბარის ტრიალი, მკვარცა გაფრთხილდი, გაუბრთხილდი ბორკილს, დაჩაჯო, მთრემ საფლავის კანს გაგიღებთ ეს გზა ტიალი!“ არა, არ ესმის ბორკილს აჩრდილთ ამანაკუნეს და ვერცა ხედავს თავის კარშემო ხელების ფათურს, შორს, მთვარის შუქზე მოსჩანს დაჩაჯო სფარაულა და ტუსადმა იქ გაუშტერა თავალი სსსათურს. აქ შიშველ ფეხებს ის ჩამტკანს შეუიხულ სისხლს და კვლავ გაისმის შარა გზაზე ხმა ბორკილისა, უკანასკნელათ გამოსვლავს სამშობლო მთის ქედს და რკინის უღარუნს შეუერთებს გულის ქვითანს! ამაღ არის სინანული... ერუა სოფელი... მსოფლად აჩრდილთ ძვლებს მისვე მოძმეთ გაუკრთათ ძალი, და ათასმა ხმამ წიადილამ ამოაკუნეს: „მანო, ჩვენ ძვლებზე კვლავ მიდის, მიდის ბორკილი!“

ისტორიული მეცნიერებიდან. (შემდეგი. იხ. № 12).

მავიწყოთ ზომბარტიდან. ბ. ვერნერ ზომბარტი ამბობს: კარლ მარქსმა თავის „მანიფესტში“ ამ საუკუნის ერთი უდიდეს ქვეშაპრტიტება-თავანი წარმოთქვა, სახელდობრ, „საზოგადოების მთელი ისტორია დღემდე წარმოადგენდა კლასთა ბრძოლის ისტორიასაო“. მაგრამ ამით მას სრული ქვეშაპრტიტება არ გამოუთქვამს. მართალი არ არის, ვითომ საზოგადოების

მთელი ისტორიის ერთად ერთი გამოხატულება იყოს კლასთა ბრძოლა. თუ გვინდა მთელი მსოფლიო ისტორია ერთის ფორმულით გამოვხატოთ, ჩემი აზრით, უნდა ვთქვათ, რომ საზოგადოების მთელი ისტორია ტრიალებს ორს წინააღმდეგობათა გარშემო, რომელთაც მე დავარქმევ **საწინააღმდეგობას** და **ნაციონალურ წინააღმდეგობას**, ამასთან სიტყვა ნაციონალური უნდა მივიღოთ ფართო მნიშვნელობით. კაცობრიობა თავის განვითარების ხანაში პირველად ადგენს საზოგადოებებს, რომელნიც ჯერ ურთიერთ შორის იბრძვიან, ხოლო შემდეგ-კი შიგნით, მათ წევრთა შორისაც ჩნდება ბრძოლა უკეთეს მდგომარეობისათვის... ამ ნაირათ, ჩვენ ვხედავთ ერთი მხრით მთელ საზოგადოებათა მისწრაფებას სიმდიდრისა, ძალისა და უპირატესობისაკენ, ხოლო მეორე მხრით—თვითეულ წევრთა ამავე მიზანთაკენ მისწრაფებას. ასეთია, ჩემი აზრით, ორი მოწინააღმდეგე მოვლენა, რომელიც ჰქმნის მთელს ისტორიას¹⁾.

მარქსმა ჰპოვა ქეშმარიტების ერთი ნაწილი. კრიტიკულად მოაზრე ბ. ზომბარტმა-კი თავის მხრით შეავსო მარქსის მიერ თქმული და, ჩვენდა საბედნიეროდ და სასიამოვნოდ, უკვე ხელში გვაქვს სრული ქეშმარიტება, განწმენდილი ყოველგვარ უკიდურესობისა და გადაჭარბებისაგან. ეს ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ჯერ ერთი, რომ საზოგადოების თვითეულ წევრთა ურთიერთთან ბრძოლა უკეთეს მდგომარეობისათვის, არ არის კლასთა ბრძოლა, რასაც შევნივრათ ამტკიცებენ თავისი მაგალითებით ჩვენი თანამედროვე მრეწველნი, რომელნიც გააფთრებით იბრძვიან ერთმანეთში მუშტართა მოსახიდავად, მაგრამ აზრათაც არა აქვთ კლასისური ბრძოლა თავის მსგავსთა წინააღმდეგ. მეორეთ, რა არის ბ. ზომბარტის „ნაციონალური ბრძოლა“? ეს არის ბრძოლა სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა შორის. კითხვა იბადება, ნუ თუ მანიფესტის ავტორებს მხედველობიდან გამოვპარათ ამ ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა? ეს უცნაური რამ იქნებოდა და მით უფრო გაუგებარი, რომ იგივე ავტორები იმავე მანიფესტის მეორე ალაგას ამბობენ, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ბურჟუაზია შეუწყვეტლივ ებრძვის სხვა სახელმწიფოთა ბურჟუაზიას. მაშ რა ამბავია? არაფერი, საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ბ. ვერნერ ზომბარტს ცუდად გაუგია მანიფესტის აზრი.

რა აზრით ხმარობს მარქსი სიტყვას: საზოგადოება? იმავე აზრით, რა აზრითაც ხმარობდა მას გიზო, როცა **შოლატიკურ წყობილების საზოგადოებრივ წყობილებისაგან დამოკიდებულებას** ეხებოდა²⁾. ერთისა და მეორის აზრითაც სიტყვა **საზოგადოება** შემოკლებული სახელია იმისი, რასაც იგინივე უწოდებდნენ მოქალაქობრივ საზოგადოებას სახელმწიფოსაგან **განსასხვავებლად**. როცა მანიფესტის ავტორები ამბობენ, რომ თვითეული ქვეყნის ბურჟუაზია განუწყვეტლივ ებრძვის სხვა ქვეყანათა ბურჟუაზიას, მათ სახეში აქვთ სახელმწიფოთა, საერთაშორისო ბრძოლა, ანუ—ბ. ზომბარტის ტერმინოლოგიით—**ნაციონალურ ბრძოლას**. ხოლო როცა იგინი ამბობენ, რომ „საზოგადოების მთელი ისტორია დღემდე კლასთა ბრძოლის ისტორია არის“, მათ სახეში აქვთ ისტორია

მოქალაქობრივ საზოგადოებისა, ანუ, სხვა ნაირად ვთქვათ, ხელმწიფოთა (ანუ ერთა) შინაგანი ისტორია³⁾. ისტორია იყო, მათის აზრით, ისტორია კლასთა ბრძოლისა, და აი, ამ ისტორიის შესახებ მათ არსებითად ეთანხმება მათი „კრიტიკოსი“. გამოდის, რომ ბ. ზომბარტის გასწორება უბრალო გაუგებრობის,—ანუ როგორც რუსები იტყვიან,—недоразумѣнiе-ს ნაყოფი ყოფილა.

მარქსსა და ენგელსს უფრო ხშირად შემდეგ ნაირათ „უშვრებიან კრიტიკას“: ჯერ მათ ცოტათი ვერ გაიგებენ ან დაამახინჯებენ, შემდეგ-კი ცოტათი შეასწორებენ. ასე იქცევიან გულ-მოწყალე „კრიტიკოსები“. უმოწყალონი-კი სრულებით არაფრათ ერიდებიან: იგინი მათს აზრებს „ახინეას“ უწოდებენ და ღრმა სიბრძნით აცხადებენ, რომ ღრთა თავიდან მოვიშორეთ მარქსის „დღეგამა“.

ბენედეტო კროჩეს გაუგებრათ მიაჩნია თვით შემეცნება კლასთა ბრძოლის შესახებ: „მე მზათა ვარ ვთქვა—ამბობს იგი—რომ ისტორია კლასთა ბრძოლაა მაშინ, 1) როცა არსებობს კლასები; 2) როცა მათი ინტერესები წინააღმდეგებიან ერთიმეორისას; 3) როცა მათ შეგნებული აქვთ ეს ინტერესთა წინააღმდეგობა. მაგრამ ყველა ეს იმ სასაცილო დასკვნამდის მიგვიყვანდა, რომ ისტორია კლასთა ბრძოლაა მხოლოდ მაშინ, როცა ის არის... კლასთა ბრძოლა! ნამდვილათ-კი ისე ხდებოდა, რომ კლასებს არ ჰქონიათ ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები და ძალიან ხშირათ არ ესმით ნამდვილი წინააღმდეგობა, რაც კარგათ იციან სოციალისტებმა, რომელნიც ცდილობენ, ზოგჯერ უნაყოფოდ (მაგალ., აქამდე ამას ვერ ახერხებენ იგინი გლახებში), ჩანერგონ ამისი შეგნება თანამედროვე პროლეტარიატში“⁴⁾.

ეს შენიშვნები პირველი შეხედვით შეიძლება სამართლიანათ ჩაითვალოს და ამიტომ ყურადღების ღირსია.

კლასთა ბრძოლას ალაგი აქვს იქ და იმ დროს, სადაც და როცა არსებობენ კლასები. ეს სრული ქეშმარიტებაა. როგორ შეიძლება კლასისურ ბრძოლაზე ლაპარაკი იმ საზოგადოებაში, რომელშიაც არ არსებობენ კლასები. მაგრამ რომელ საზოგადოებაში არ არსებობენ კლასები? მხოლოდ პირველ ყოფილ საზოგადოებაში.—იქ არსებობდა ინტერესთა თავისებური ერთგვარობა, მაგრამ ეს ერთგვარობა მკვიდრი არ იყო: ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ საფეხურზე, ნათესავურ ორგანიზაციის სრულიათ დარღვევის დიდი ხნით წინ, „ველურთა“ შორის ჩნდება ქონებრივი უთანასწორობა, ხოლო მას შემდეგ-კი არა თუ ინტერესთა ანტაგონიზმი, **არამედ ამ ანტაგონიზმის შეგნება-კი**. ესკიმოსთა პოეზიაში ერთი შესანიშნავი ზღაპარია, რომლის გმირი,—**ღარბაბი** ქვრისის შვილი—თავის მდიდარ ნათესავების შურს იძიებს იმიტომ, რომ ამათ დაამცირეს და შეარცხინეს იგი. ხოლო ესკიმოსებში-კი დღესაც მეტის-მეტათ ძლიერია სალიდარობის გრძობა, რაიცა განავითარა მათში პირველ ყოფილ კომუნიზმმა.

3) იხ. წინასიტყვაობა „Zur Kritik“, სადაც ნათლათ სჩანს, თუ რა მნიშვნელობით ხმარობს მარქსი სიტყვას „საზოგადოება“. იხ. აგრევე „Die heilige Familie“, S. 189.

4) Critique de quelques concepts du marxisme „Devenir Social“ 1898, pp. 121—122.

1) Sociale Bevegung im 19. Lahrhundert, SS. 1—2.

2) იხ. „ვეალი“ № 8.



ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ პირველ ყოფილ საზოგადოებაში ძალიან ადრე იწყება მამაკაცსა და დედაკაცს შორის შრომის განაწილება, რაც იწვევს სქესთა ანტაგონიზმს (წინააღმდეგობას), რომელიც იხატება საქმელში, ზნე-ხასიათში, გართობაში, ხელოვნებაში და ასე წარმოიდგინეთ, ენაშია-კი. ვინც ყურადღებას არ მიაქცევს ამ სქესთა ანტაგონიზმის ნივთიერსა და სულიერ შედეგებს, მისთვის სრულიად გაუგებარი დარჩება პირველ ყოფილი ცხოვრების ბევრი საყურადღებო მხარეები. ხოლო, თუ უფრო განვითარებულ საზოგადოებებს გადავხედავთ, ადვილათ შევნიშნავთ როგორც სხვა-და-სხვა კლასთა არსებობას მათში, ისე მათს განუწყვეტელ ბრძოლას, რაც ცხადათ იხატება სახელმწიფო წყობილებაში, კანონ-მდებლობაში, საარწმუნოებაში, პოეზიაში და საზოგადოათ ყველა მხატვრულ ქმნილებაში.

მართალია ისიც, რომ სხვა-და-სხვა საზოგადოებრივ კლასთა ინტერესები მუდამ **არ ეწინააღმდეგებიან** ერთმეორეს. მაგრამ კლასიურ ანტაგონიზმის გასაჩენათ სრულიათ საკმაოა ინტერესთა უბრალო განსხვავება. იქ, სადაც ღარიბთა და მდიდართა შორის ჯერ კიდევ არ დაწყებულა მოჭირავთა და დამჭირავებელთა ურთიერთობა, ხშირათ სწორეთ ამ განსხვავებას ვამჩნევთ, რომელიც, დაბოლოს, ჰბადებს კლასთა შორის მკაცრ ბრძოლას. ზოგჯერ კლასთა ბრძოლის გასაჩენათ ქონებრივი უთანასწორობაც არ არის საჭირო და საკმარისია ადგილობრივ ინტერესთა განსხვავება, რაც ნათლათ ჩანს ათინის პირველ დაწყებით ისტორიიდან, რომელიც სავსეა დიაკრებთა, პარალიებთა და პედიებთა შორის ბრძოლით⁶⁾. ბ. კროჩე ურევს ერთმანეთში შეგნებულ ბრძოლას და ანტაგონიზმის შეგნებას...

საზოგადოების კლასებათ დანაწილებას იწვევს მისი ეკონომიური განვითარება. მაგრამ **ადეურ** განვითარებას წინ უსწრობს **ნავთიერი** განვითარება. ამიტომაც ხალხის მიერ შეგნება ამ ურთიერთობათა, რომელიც არსებობენ მათ შორის წარმოების საზოგადოებრივ პროცესში, უკან რჩება ამ ურთიერთობათა **განვითარებას**, ე. ი., ურთიერთობათა განვითარება წინ უსწრობს თვით ამ ურთიერთობათა შეგნებას. ამას გარდა, თვით-ცნობიერება ერთ და იმავე კლასსშიაც არ ვითარდება ერთნაირის სისწრაფით: ზოგი უფრო ადრე, ზოგიც გვიან შეიგნებს ამა თუ იმ საგნის შინაარსს. ეს ჰბადებს მოწინავეთა იდეურ ზედ-მოქმედებას უკან ჩამორჩენილებზე.

გამოდის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში, საითაც უნდა მიიხედო, ყველგან კლასთა ბრძოლის გავლენას ხედავ. გამოდის აგრევე, რომ „სასაცილო“ დასკვნა გამოჰყავს არა სხვა ვინმეს, არამედ თვით ბ. კროჩეს.

ბ. კროჩე ქვეიანი და ნიქიერი კაცია, მაგრამ მის აზროვნებას აკლია დიალექტიური ელემენტი და აი, სწორეთ ამ ნაკლის ბრალია მისი „კრიტიკის“ ყველა შეცდომა-შეცოდებანი.

ჩავყვეთ ქვეით. ზევით ვთქვით, რომ მანიფესტის ავტორებმა შეიმუშავეს ერთი მწყობრი ისტორიული თე-

ორია მაშინ, როდესაც ბურჟუაზიის იდეოლოგთა ისტორიულ შეხედულობებში არ იყო გარკვეული თავი და ბოლო. ეხლა ჩვენ უნდა ავხსნათ ეს და დავამტკიცოთ.

ოგ. ტიერი, მინიე, გიზო და სხვა ისტორიკოსები, რომლებიც „საშუალო კლასის“ ინტერესებით ხელმძღვანელობდენ, ქონებრივ ურთიერთობაში ხედავდენ ამა თუ იმ მხარის პოლიტიკურ წყობილებისა და მასში გამეფებულ შეხედულობათა ყველაზე უმთავრესსა და უღრმესს საფუძველს⁶⁾.

ამ მხრით მათი შეხედულობა ნაკლებათ განსხვავდება მარქსისა და ენგელსის შეხედულობისაგან, ხოლო როცა მარქსი დაბოლოს სწერდა, რომ უფლებრივი ურთიერთობანი და სახელმწიფო ფორმები არ აიხსნებიან არც მათი საკუთარი ბუნებით, არც ვერეთ წოდებულ კაცობრიობის სულის საზოგადო განვითარებით, არამედ მათი ახსნა იპოვება მატერიალურ (საარსებო) ცხოვრების ურთიერთობებში, (въ матеріальныхъ жизненныхъ отношеніяхъ) რომელთაც ერთათ თავ-მოყრილს, შეერთებულს ჰეგელი ეძახის მოქალაქობრივს საზოგადოებას⁷⁾, —ის მხოლოდ იმ დასკვნებს იმეორებდა, რა დასკვნამდენაც მივიდა მასზე ბევრათ წინ ისტორიული მეცნიერება საზოგადოებრივი განვითარებისა და მასთან შეკავშირებულ კლასთა ბრძოლის გავლენის ქვეშ. მთელი განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მარქსის წინამორბედთ ქონებრივ ურთიერთობათა და ინტერესთა წარმოშობა სრულიად აუხსნელი რჩებოდათ, ხოლო მარქსმა-კი ნათლათ გამოარკვია ის.

⁶⁾ პროფესორი კარევი ამაზედაც ისე წამოიძახებს, როგორც ერთი მწერლის შესახებ წამოიძახა: „ამას ამბობენ გიზოზე, რომელიც ისეთს საყურადღებო როლს აძლევდა ინდივიდუალურ განვითარებას! ამას ამბობენ ოგ. ტიერზე მისი რასას თეორიით, რომელიც ისეთს როლს ასრულებს მოვლენათა ახსნის საქმეში!“ („ძველი და ახალი ეტიუდები“, გვ. 209). მაგრამ სწავლული პროფესორი საქმის უცოდინარობის გამო წამოიძახებს ამას. გიზო მართლაც დიდ მნიშვნელობას აძლევდა ინდივიდუალურ განვითარებას, მაგრამ ეს განვითარება მას მოჰყავს ისე, როგორც საზოგადოებრივი განვითარების სასურველი შედეგი, და არა ისე, როგორც ამ განვითარების ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რაც შეეხება ტიერს, მის ისტორიულ თეორიაში დიდი ადგილი უჭერია არა „რასას“, არამედ ერთი რასის მიერ მეორეების დაპყრობას. რა მიზნით ხდება დაპყრობა? ამ კითხვაზე ტიერი დაუფიქრებელი გიპასუხებდათ: ქონებრივი ინტერესების გამო. მისი შესანიშნავი წიგნი: *Histoire de la conquête de l'Angleterre par les Normands*-ი კი ასეთს პასუხს იძლევა. მოიგონეთ შემდეგი ალაგი. გოსტინის ბრძოლის წინ ერთი ინგლისელთაგანი ამბობს: ჩვენ უნდა ვიბრძოდეთ იმიტამ, რომ საქმე ახალ კოროლს კი არ შეეხება, არამედ სულ სხვა რასმეს... ნორმანმა დაურთავა მიწები თავის სარდლებს, თავის ცხენოსან მხედრებს, ყველა თავის კაცებს... თუ ის ჩვენს მეფეთ გახდა, ის იძულებული იქნება თავის ხალხს გადასცეს ჩვენი ქონება, ჩვენი ცოლ-შვილიო. ვილჰელმ დამპყრობელი-კი თავის მხრით ასე ეუბნება თავის ჯარის-კაცთ: მხნეთ იბრძოლეთ და ჟლიტეთ ყველა, რადგან თუ გავიმარჯვებთ, ყველა გავმდიდრდებით. რასაც მე შევიძენ, შევიძენთ თქვენაც, რასაც მე დავიფლობ, დავიფლობთ თქვენაც; თუ მე შექნება მიწები, გექნება თქვენაც“ (იხილ. პარიულ გამოცემის 1825 წ. პირველ ტომის გვ. 300). კარევის პასუხი „ეკონომიური მატერიალიზმის“ წინააღმდეგ ისე სავსეა შეცდომებით, ისე უშინაარსოა, რომ გვაგონებს პრუდონის შემდეგს სიტყვებს: *Il faut qu'un professeur parle, parle, parle, non pas pour dire quelque chose, mais pour ne pas rester muet.*

⁷⁾ Zur Kritik der politischen oekonomie .vorwort.

⁶⁾ об. Griechische geschichte von E Curtius, I. B., Berlin 1857, SS. 254—255; cp. Hegel's Philosophie der geschichte (herausgegeben von E. Gans), S. 261: „Der unterschied der Stande beruht auf der verschiedenheit der Localität“.

გიზო, მინიე, ტიერი და ყველა ის ისტორიკოსები და პუბლიცისტები, რომელნიც მათი შეხედულობისანი იყვნენ, ხშირათ საზოგადოების ქონებრივ ურთიერთობებს ხსნიდენ დაპყრობის მიზანია „უპყრობელი ინტერესებია“.

საიდან-ღა ჩნდებიან ეს ინტერესები? ცხადია, მათი არსებობა გამოწვეულია ქონებრივ ურთიერთობათა მიერ როგორც დაპყრობელთა, ისე დაპყრობილთა ქვეყანაში⁸⁾. ამნაირათ ჩნდება მოჯადოვებული წრე: ქონებრივი ურთიერთობანი და ინტერესები აიხსნებიან დაპყრობით (ომებით), ხოლო დაპყრობა აიხსნება ქონებრივი ურთიერთობებით და ინტერესებით. სანამ ისტორიული თეორია ამ მოჯადოვებულ წრეში ტრიალებდა, აუცილებელი იყო მისი ეკლექტიზმი და წინააღმდეგობანი. ასეთი წინააღმდეგობანი საკმაო ბლომათ აქვთ ზემოთ თქმულ მიმართულების ყველა ისტორიკოსებს.

ზოგჯერ ისტორიკოსები გვითითებდენ ადამიანის ბუნებაზე. მაგრამ ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე: ადამიანის ბუნება ან უცვლელი რჩება მთელ ისტორიულ პროცესის განმავლობაში, ან და ის იცვლება. თუ ის უცვლელი რჩება, ცხადია, მითი არ შეიძლება აფხსნათ ისტორიაში მომხდარი ცვლილებანი. ხოლო თუ თვით იგიც იცვლება, არც მაშინ გვარგია ის, რადგან ჩვენთვის საჭიროა ყველაზე წინ გამოვიკვლიოთ თვით მისი ცვლილების მიზეზები: ესეც ახალი მოჯადოვებული წრე, ახალი წყარო წინააღმდეგობათა და ეკლექტიზმისა ისტორიულ მეცნიერებაში.

ამ ეკლექტიზმისა და წინააღმდეგობათა ცხად მგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ტოკვილის თხზულება „დემოკრატია ამერიკაში“, რომელსაც ცნობილი როიე კოლიარი მონტესკიეს თხზულების—„კანონთა სული“—გაგრძელებას ეძახდა. ტოკვილი ამბობს, რომ რაკი გვაქვს ესა თუ ის სოციალური წეს-წყობილება, ის შეიძლება განვიხილოთ როგორც პირველი მიზეზი კანონთა, ჩვეულებათა და იდეათა უმეტესობისა, „რომელნიც არკვევენ ერის ყოფა-ქცევას“. ამ თუ იმ ხალხის კანონმდებლობა და ზნე-ხასიათი რომ გავიგოთ, საჭიროა შევისწავლოთ სოციალური წყობილება⁹⁾. საიდან-ღა ჩნდება ეს სოციალური წყობილება? ამის პასუხათ ტოკვილი მიმართა ადამიანის ბუნებას. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ადამიანის ბუნება არაფერს არ გვიხსნის. ეს იცოდა, ან ეჭვობდა მაინც, ამას თვით ტოკვილიც, რომელიც ჯერ კიდევ ამერიკიდან მოწერილ წერილებში ამბობდა: „აქ ისეთი დაწესებულებანი ხეირობენ, რომელნიც საფრანგეთში უთუოთ რევოლიუციას გამოიწვევდაო. ხალხი აქ ისეთივეა, როგორც იქ, ჩვენში, მაგრამ სხვა პირობებში დგანან“¹⁰⁾.

ამ სიტყვებიდან ის აუცილებელი და უეჭველი დასკვნა გამოდის, რომ ადამიანის ბუნება სრულებით არ გვარგია ამერიკულ დაწესებულებათა ასახსნელათ.

სხვა ალაგას ტოკვილი ცდილობს სოციალურ წეს-წყობილების წარმოშობა კანონთა ზედ მოქმედებით ახსნას.

⁸⁾ იხ. წინა შენიშვნა.

⁹⁾ იხ. De la Democratie en Amérique, Paris 1836, t. I, p. 74.

¹⁰⁾ Nouvelle correspondance de Alexis Tocquville, Paris 1866; 3 ივნისის 1830 წლის წერილი მამასთან.

მაგრამ, რადგან, მისივე სიტყვით, კანონმდებლობას ხსნის სოციალური წყობილება, ჩვენ ისევე იმ წინააღმდეგობას ვხვდებით. თვით ტოკვილს რამდენიმეთ შეგნებული ჰქონდა ეს წინააღმდეგობა და ცდილობდა გამოსულიყო მისგან, მაგრამ ყველა მისმა ცდამ ამაოთ ჩაიარა, მისი ანალიზი ამ შემთხვევაში უძლური აღმოჩნდა.

მარქსის ისტორიული თეორია ხსნის ამ წინააღმდეგობას და მით სინათლე და თანდათანობა შეაქვს იქ, სადაც აქამდე ბევრი საყურადღებო წვრილმანები, ბევრი ღრმა აზრები და სწორი შენიშვნები იყო, მაგრამ არ იყო ძირითადი პრინციპი, რომელსაც შესძლებოდა აეგო ყველა ეს საყურადღებო წვრილმანები, ღრმა აზრები და სწორი შენიშვნები ერთს მწყობრ შენობათ.

მარქსის თეორიით სოციალური წყობილების ანუ ხალხთა საზოგადოებრივ ურთიერთობათა—ამხსნელია მათი ეკონომიური ურთიერთობანი: „მოქალაქობრივ საზოგადოების ანატომია უნდა ვეძიოთ მის ეკონომიაში“. რა ჰქმნის ასეთს ურთიერთობებს? მათი წარმოშობის ახსნა მარქს რომ მოენდომებინა შეხედულობებით, გრძობებით ანუ საზოგადოთ, ხალხთა „ბუნებით“, ისიც ისეთსავე წინააღმდეგობაში გაეხვეოდა, რომელშიაც ეხვეოდენ მისი წინამორბედნი. მაგრამ მას სულ სხვა გვარად ხსნის.

კაცმა რომ იცხოვროს, საჭიროა რამე აწარმოვოს. ხოლო რომ აწარმოვოს, საჭიროა როგორმე თავისი ძალღონე ამოძრავოს, სხვა მის მზგავს ადამიანებთან გარკვეული დამოკიდებულება იქონიოს და რომელსაც მარქსი **საწარმოგო დამოკიდებულებას** უწოდებს. ამ დამოკიდებულებათა კრებულს ეწოდება საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა ანუ შენობა, რომელზედაც ამოცნდებიან ყოველნაირი სოციალური დამოკიდებულება ადამიანებისა, ამათ შორის მთელი „სამოქალაქო ყოფა-ცხოვრება“, რაცა ასე დიდ როლს თამაშობდა საფრანგეთის ისტორიკების თეორიაში.

(შემდეგი იქნება).

ქართული ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში.

(შემდეგი.—იხ. № 15).

ბ. ფანცხავამ არ იცის, რა აზრი უნდა იქონიოს. თუ არ იცი, გაჩუმდი, მაგრამ ბ. ფანცხავა არ ჩუმდება, ალბათ მასაც ძალას ატანს ბ-ნი აბაშიძისის სურვილის აღსრულება. ბ-ნი ფანცხავასათვის ცხადია, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენს ლიტერატურას ცხოველ-მყოფელობა დაეტყო, მაგრამ ბოლო დროს ჩვენი მწერლობა დაკნინდა. ამის მიზეზათ ბ. ფანცხავა ორ გარემოებას ასახელებს: გარეშე ლიტერატურის მეტოქეობას და ქართველობის ერთი ნაწილის მიერ მწერლობაზე გულის აცრუებას, რასაც ის გარემოება მოჰყვა, რომ ქართულ ლიტერატურას ინტელიგენტი მკითხველი აღარა ჰყავს, უმეცრებმა ლიტერატურის ასპარეზი დაიჭირეს და ნიჭიერნი და მკოდნენი კი სხვაგან ეძებენ მყუდროებას. ჩვენი დღევანდელი სიტყვა-კაზმული მწერლობა რომ უფრო სუსტია, ვიდრე მესამოცდაათე წლებისა, ეს სრული ჭეშმარიტებაა, ხოლო სისუსტის მიზეზი სულ სხვა არის, ვიდრე ბ. ფანცხავას ჰგონია. გარეშე ლიტერატურა თუ მეტოქეობას უწევს შინაურს, ეს იმას ნიშნავს, რომ გარეული შინაურს ჯობია, უკეთესი გავლენას იქონიებს შინაურზე და ასეთ მე-



ტოქეობას, ადრე თუ გვიან, შინაურის გაუმჯობესებას უნდა მოჰყვებოდა. ეს ასე იყო და არის ყველგან და რაღა ჩვენი ლიტერატურა იქნება გამოჩინებული? თუ უნიჭოებმა ნიჭიერები განდევნეს, ეს ვერაფერი საბუთია ნიჭისა და ველარაფერი თავის მართლებას. მწერლობის ასპარეზი ღია არის. მოდით ნიჭიერებო და ილიტერატორებო. თუ მართლა ნიჭიერები ხართ და ცოდნით აღჭურვილნი, უნიჭოებსა და უმეცრებს ადრე და ადვილათ დაამარცხებთ და ჩვენი ლიტერატურაც აყვავდება. მართალია ერთათ ერთი ის, რომ ჩვენი ლიტერატურა ლიტერატორს ვერა ჰყვება და ამიტომ ის იძულებულია, მთავარი ძალა ლუკმა პურის შოვნას შეწიროს ლიტერატურის გარეშე და ლიტერატურას მხოლოდ დაქანცული თავით ემსახუროს, მაგრამ ეს მიზეზი მთელი საუკუნის განმავლობაში არსებობდა და მიუხედავად ამისა იყვენ ისეთი მომენტები, როცა ლიტერატურა ჰყვოდა. მესამოცდაათე წლებში ჩვენი ცხოვრების ერთბაშა პროგრესმა გამოიწვია ლიტერატურის აღფრთოვანება და გაფურჩქვნა; დღეს-კი ცხოვრება სხვა გზას დაადგა და ამიტომ ლიტერატურაც სხვა მიმართულებას ღებულობს. ახალ გზაზე ერთბაშათ მტკიცეთ სიარული შეუძლებელია და ამიტომ ჩვენს დღევანდელ ლიტერატურასაც რაღაც გაუბედაობა ეტყობა; ცხოვრება ჯერ მტკიცე კალაპოტში არ ჩამდგარა, ამიტომ ლიტერატურასაც სიმტკიცე აკლია; დროებით ხალხის ყურადღებას უფრო მატერიალური ინტერესები იზიდავენ თავისკენ, რაც ხელს უშლის ლიტერატურის გაფურჩქვნას, მაგრამ ყოველივე ეს ისევ მომასწავებელია ჩვენი ლიტერატურის ევოლიუციისა და არა სიკვდილისა. წარმოიდგინეთ, მკითხველო, ბ. აბაშიძესაც-კი უკვირს იმ მწერალთა მოქმედება, რომლებსაც უმეცართა და უზრდელთათვის (ესეც-კი გასაკვირალია, როდესაც ბ. კიტა აბაშიძე სხვას უზრდელობას უკიჟინებს!) მიუტოვებიათ ჩვენი ლიტერატურა. ლიტერატურის ხსნა ადვილია თვით ბ. ფანცხავას სიტყვებით: ნიჭიერნი რომ ისევ გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე, უნიჭოებს განდევნიან და აყვავდება ჩვენი ლიტერატურა! ამიტომაც არის, რომ ბ. კ. აბაშიძე დაუღალავათ ებრძვის უნიჭოებს, მაგრამ ერთი ხომ ყველას ვერ დაამარცხებს, იღბლათ თლაფსუ ამოუდგა გვერდში და ერთი ორიოდ თლაფსუც თუ მოეშველა და ცილისწამებაც მოიშველიეს, გაიჩარხება საქმე: მწერლობის ასპარეზი ნიჭიერებს დარჩებათ და ჩვენი ლიტერატურაც განსაცდელს აცდება!

ბ-ნი არაგვისპირელი ულოლიკობაში ქ-ნ მანდილოსანს ეჯობრება. მაგრამ რადგანაც მისი წერილი პატარაა, ულოლიკობაც ცოტაა. მრწამს ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო მომავალია, კათეგორიულათ გვეუბნება ბ. არაგვისპირელი. მაგრამ მის მრწამსაც ეს დაწყველილი წერტილები ლუპავენ; წერტილების შემდეგ „რწმენა, იმედი და სასოება სადღაც უჩინრათ იბუნდებიან და მხოლოდ ცეცხლის ალი-ლა ლაღადებს იმის თვალწინ“. სწორეთ ლანაზათ დააბოლოვა; თუმცა ეს ბოლო თავს სრულებით ეწინააღმდეგება, მაგრამ რა ვუყოთ: წერტილების შემდეგ ყველაფერი შესაძლებელია! მაგრამ ეს ცეცხლის ალი და მისი ლაღადი რაღა საჭირო იყო, ვერ გავიგეთ, თუმცა „დედა-ენაზე“ აღვიზარდეთ. წერტილების შემდეგ თუ იმედი ცეცხლის ალათ იქცა, წერტილებამდე ხომ იმედი იმედივე იყო! მაშ რაზე ამყარებდა ამ იმედს ავ-

ტორი? ქართველი ერის წარსული ღვაწლის შესწავლაზე, რის შემდეგაც ქართული ლიტერატურა დაიწყებს დიდს ნაკადულით ჩქეფას. ესეც ახალი თეორიაა: თუ გინდათ, რომ ჩვენი ლიტერატურა აყვავდეს, წარსული შეისწავლეთ ყველამ! წარსულის შესწავლა და საფუძვლიანი შესწავლა რომ ყველასათვის საეაღდებულოა, ამაში ეჭვიც არა გვაქვს, მაგრამ წარსულის შესწავლა რომ ვერ ააჩქეფებს დიდს ნაკადულით ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობას, ამაში მე დარწმუნებული ვარ. ბ-ნი არაგვისპირელი ჩვენს დღევანდელ მწერლებში ერთი საუკეთესო ბელეტრისტია; წარსულის შესწავლა ან შეუსწავლელობა აჩნია მის ეტიუდებს? ჩვენ ამას ვერა ვხედავთ და შეიძლება სხვა ხედავდეს.

ბ-ნი ცაგარლის აზრით, ჩვენი ლიტერატურის განვითარება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თვალსაჩინოა, მაგრამ დღეს-კი მას ერთი სენი შებარვია—ენის უცოდინარობა, რომელიც მას სიკვდილს უქადის. როდესაც გრიგოლ ორბელიანი აკაკის ლექსებს კითხულობდა, გულ-ამღვრეული გაიძახოდა: წმიდა ტაძარს (ე. ი. ჩემს ლიტერატურულ ენას) ჩირქი წაეცხოვო. დღეს-კი ქართველი მკითხველი ამბობს: წმიდა ტაძარი აკაკის ენაა და არა გრ. ორბელიანისო. ცოტა არ იყოს, გრიგოლ ორბელიანის შეცდომას იმეორებს ბ. ცაგარელიც. ცხოვრება განვითარდა; ახალი მცნებები, რომლებსაც ჩვენი ძველები არ საჭიროებდნენ, საჭირონი შეიქნენ, ახალი მცნებების გამოსახატავათ საჭიროა ახალი სიტყვები, ან ძველი სიტყვების ახალი კომბინაცია ახალი აზრის გამოსახატავათ და ამან ნელა-ნელა გამოიწვია ჩვენს დროში ენის ცვლილება. პირველ ხანებში თუ გაფართოებული ენა კოქლობს, შემცდარ ფორმებს კიდებს ხელს, თანდათან გასწორდება ის და გაიწმინდება. რაც შეეხება ბ-ნი ცაგარლის გოდებას, რომ ჩვენს ოჯახებში ქართული ენა არა ჰყვავის და ენის დაცვა ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა, ხოლო ენის სიწმიდე ლიტერატურის სიმალღეს ჯერ კიდევ არ მოასწავებს: ენა სამოსელია ლიტერატურის და არა თვით ლიტერატურა; კარგი ლიტერატურული ენა თავის თავათ კი არ არის კარგი, არამედ იმიტომ, რომ ასეთი ენა აზრის გაგებას უადვილებს ყველას, აზრს ყველას კუთვნილებათ ხდის. ენა უნდა სასტიკათ დაეიცვათ, მაგრამ ეს არ ააყვავებს ჩვენს ლიტერატურას, როგორც ბ-ნი ცაგარელს ჰგონია: თუ ლიტერატურაში აზრი არ იქნა და სახელოვნო ღირსება, მარტო ერთი ენა რას გააწყობს?

ბ. მგალობლიშვილს რწამს, რომ ჩვენს ლიტერატურას ბრწყინვალე მომავალი აქვს, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და თავის მრწამსში მანაც ნაღველი გაუჩინა. კაცია და გუნება, ხოლო საიდან ელის ბ-ნი მგალობლიშვილი ჩვენი ლიტერატურის აყვავებას? წარსულიდან!

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

სამედიცინორო ვადაწყვეტილება შესახებ პოლემიკისა, რომელიც აღიძრა თ. ნ. თავდგირიძის და ნ. ყორდანის შორის.

მაისში 1900 წელსა თ. ნ. თავდგირიძის და ნ. ყორდანის შორის აღიძრა ქართულ მწერლობაში პოლემიკა. რადგანაც ამ პოლემიკამ არ დააკმაყოფილა არც ერთი მოწინააღმდეგე მხარე, ბ. თავდგირიძემ მოითხოვა სამე-

ლიატორო სამართალი („ივერია“ № 123) და მედიატორებათ ბ.ბ. იაკობ ლულოძე და ვარლამ ჭიჭინაძე დაასახელა. ბ. ჟორდანიას დათანხმდა და თავის მხრივ დაასახელა მედიატორებად ბ.ბ. ივანე ჯაბაძარი და ალექსანდრე შატილოვი. თავმჯდომარედ მედიატორებმა მიიწვიეს ბ. სვიმონ ვახვახიშვილი.

საქმის გარემოება შემდეგია:

1900 წელს, 8 მაისს, ქუთაისის სათავად-აზნაურო კრებაზე ს. ხუნდაძის წინადადებით იყო სჯა თავად-აზნაურთა ცენზის შემცირების შესახებ. ამ საგნის გამო ბ. თავდგირიძემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც „ცნობის ფურცლის“ 1124 №-ში ასეა გადმოცემული: „უნდა ვითხოვოთ,—თავად-აზნაურთა მხარის კრებას თვით მიეცეს უფლება თავისი კეთილი წევრები თავისი არჩევნებით სცნოს ღირსად გუბერნიის კრებაში მონაწილეობის მიღებისა“.

„კვალმა“ 21 №-ში დაბეჭდა წერილი, რომლისათვისაც პასუხის გება იკისრა ბ. ჟორდანიამ, და ამ წერილში ბ. თავდგირიძის სიტყვიდან შემდეგი დასკვნა გამოიყვანა: „ხოლო თ. ნ. თავდგირიძემ სრულებით საჭიროთ არ სცნო ცენზის შემცირება, მან სთქვა“... (მოყვანილია მთლად ზემოხსენებული ბ. თავდგირიძის სიტყვა), „ე. ი. ცენზი,—განაგრძობს „კვალში“ მოთავსებულის წერილის ავტორი,—როგორც არის, ისე იყოს, ხოლო ახალი წევრების მიღება ისევე ჩვენ მოგვანდევითო! აი ასე შეხედეს ამ კითხვას ორმა განათლებულმა ახალმა თავადმა (ბ. თავდგირიძემ და ბ. კ. აბაშიძემ,) რომელნიც არა ერთხელ გვეფიცებოდნენ, რომ „კვალს“ არა სჯერა, თვარა ჩვენ დიდი დემოკრატები ვართო! ამიერიდან ყველა გაიგებს იმას, თუ როგორ დაამდაბლეს ამ ვაჟბატონებმა—განათლება და მის ალაგას სიმდიდრე აამიღლეს“.

ბ. თავდგირიძემ ამ სიტყვებში დაინახა თავის აზრის განძრახ დამახინჯება იმ მიზნით, რომ წერილის ავტორმა გაუტყუოს მას სახელი ქართულ საზოგადოებაში.

სამედიატორო სამართლის მინდობილი ჰქონდა გასარჩევან შემდეგი კითხვები:

1) ბ. თავდგირიძის წინადადება: „ჰქონდა თუ არა ბ. ნოე ჟორდანიას, როგორც ფაქტიურ „კვალ“-ს რედაქტორს, ზნეობრივი უფლება იმ საექვო, გამოურკვეველ და მცირე მასალის შემწვობით, რომლებიც მას მოეპოვებოდა, ისე გარდაწყვეთ, დაბეჯითებით ელაპარაკა ჩემ საზოგადო მოქმედების მიმართულების ხასიათის შესახებ, როგორც მოხსენებული იყო „კვალის“ მე 21 №-ში, № 31, № 34, № 41“. (ივერია № 123).

ბ. ჟორდანიამ თავის მედიატორებთან მიმართულ წერილში დააყენა გასარჩევან შემდეგი კითხვები:

2) „რამდენათ მართალია ბ. თავდგირიძის ბრალდება იმის შესახებ, რომ ვითომ „კვალ“-ს მე 21 №-ში მოთავსებულია სრულიად დამახინჯებული ამბავი ქუთაისის სააზნაურო საქმეების შესახებ ბ. თავდგირიძეზე, რომ მას ისეთი არა უთქვამს-რა, „რასაც ჩვეულებურ ნამაჯადვე საშუალებით ბრალად გვდებს „კვალ“-ს რედაქცია“ („ივერია“ № 115);“

3) რამდენათ მართალია „კვალ“-ს ბრალდება, რასაც ბ. თავდგირიძემ „ხრიკები“ უწოდა (№ 123) ამის შესახებ, რომ მან ერთი ციტატა გამოიგონა, ხოლო მეორის ნახევარი, სწორედ ის, რომელმაც დავა გამოი-

წვია (ბ. კ. აბაშიძის სიტყვები), გადამახინჯებულად მოიყვანა“.

სამედიატორო სამართალს ჰქონდა ამ საგანზედ თბილისში სჯა თავის სხდომაზედ 1900 წლის 20 და 27 ივნისს, 1901 წლის 13 და 20 იანვარს, 26 მარტს და 10 აპრილს, სადაც განიხილა ქუთაისის სათავად-აზნაურო კრების ანგარიში, რომელიც დაბეჭდილია „ცნობის ფურცელში“ 1900 წლის 1123 და 1124 ნომრებში, აგრეთვე „კვალ“-ს 21 და 23 ნომრებში და „ივერიის“ 115 და 123 ნომრებში დაბეჭდილი წერილები და ერთხმად გადასწყვიტა:

1) „კვალ“-ს 21 ნომრის წერილში, რომელიც დაფუძნებულია ზემოხსენებულ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილ ანგარიშზე, ანაგობაში ფაქტიურად მასალის გადაძახინჯება ან ანის.

2) მეორეს მხრით, ბ. თავდგირიძის პასუხში, რომელიც დაბეჭდილია „ივერია“-ში (№ 115) „ცნობის ფურცლიდან ციტატები სწორედ ან ანის მოყვანილი; მაგრამ ეს შეცდომები უნდა ჩაითვალოს უფრო კორექტურულ შეცდომებათ.

3) თუმცა ცხადათ ანა სჩანს, „ცნობის ფურცლის“ ანგარიშიდან, რაში მდგომარეობს ბ. თავდგირიძის პროექტი, მაგრამ ის დასკვნა, რომელიც დაადგინა „კვალ“-ს 21 №-ში მოთავსებულ წერილის ავტორმა ამ პროექტის შესახებ, ვითომ თავდგირიძემ ილაპარაკა კრებაზე ცენზის შემცირების წინააღმდეგ, არ შეესაბამება არც მთლად მის ხელში ყოფილს მასალას საზოგადოთ, არ თვით ბ. თავდგირიძის პროექტს კერძოდ.

ეს სამედიატორო სამართლის გადაწყვეტილება დაიბეჭდოს გაზ. „ივერია“-ში, „კვალში“ და „ცნობის ფურცელში“.

სამედიატორო სამართლის თავმჯდომარე **ს. ვახვახიშვილი**.

მედიატორები: **ივ. ჯაბაძარი**, **იაკ. ლულაძე**, **ალ. შატილოვი**, **პარ. ზიზინაძე**.

შენიშვნა. მე ჩემი მხრით მადლობას ვწირავ ბ. მედიატორეთ ამ შრომის გაწვევის და საქმის დაბოლოებისათვის. ყოველი მოკამათის კეთილ სინიღისიერება პირველ ყოვლისა იხატება იმაში, რომ მან მოწინააღმდეგის სიტყვები არ გადაამახინჯოს და ციტატი სწორედ მოიყვანოს. რაც შეეხება დასკვნას—ამის გამოყვანა თვითოველს თავისებურათ შეუძლია და ვერავინ მოითხოვს—უთუოდ ყველამ ერთნაირი დასკვნა გამოიყვანეო. და აი, ბ. მედიატორები გადაქრით ამბობენ, რომ „კვალს“ არავითარი დამახინჯება ბ. თავდგირიძის სიტყვებისა არ მოუხდენია, რომ თვით ბ. თავდგირიძეს სწორედ არ მოუყვანია ციტატი და მესამედ მისი წინადადება „ცნ. ფურცელში“ დაბეჭდილი ისე ბუნდოვანათ ყოფილა, რომ ნათლათ არა ჩანს, რას შეიცავდა ის. ჩვენი შეცდომა მხოლოდ ის ყოფილა, რომ ამ ბუნდოვან წინადადებას გვერდი არ ავუარეთ და გავიგეთ ისე, როგორათაც ეს შეგვეძლო.

ბ. ჟორდანიას.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წკეთლისა.